პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980
№ 8 (2185)
22 თებერვალი
პარასკევი
გამოცემის 48-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინ, მედროშენო!

კვლავ გამარჯვების დროშა!

მეშვიდე წელია ზედიზედ ვზეიმობთ მიღებას დროშისა, რომელიც სიმბოლოა ჩვენი წინსვლისა და გამარჯვებებისა.

სწორედ საბჭოთა საქართველოს ზეიმის წინა დღეებში შეიტყვეს რესპუბლიკის მშრომელებმა: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი შედეგებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს მოწინავენი.

მოწინავეთა შორისაა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

შვიდჯერ ზედიზედ...

ეს შვიდი წელი უწყვეტი ხაზია რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებისა, იმ ლენინური კურსისა, რომელსაც მტკიცედ ატარებს ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ეს აღმავალი გზაა, რომელიც ადასტურებს საქართველოს ყველა მშრომელის, მუშის, გლეხის, ინტელიგენტის მისწრაფებას — იყოს მუდამ მოწინავეთა შორის, თავისი ღირსეული სიტყვა თქვას საერთო-საკავშირო დოვლათის შექმნაში.

დროშა გამოხატულებაა მთელი ჩვენი ხალხის ერთიანი ნებისა, პარტიისა და ხალხის ერთსულოვანი რწმენისა, სადღეისო მიღწევებისა და მომავლის ნათელი პერსპექტივებისა.

დროშა გამოხატავს ყოველივე წმიდათაწმიდას და ამაღლებულს, სპეტაკს და დიადს, გმირულს და რომანტიკულს, რასაც ჩვენი ცხოვრება, ხალხის ცხოვრება მოიცავს.

დროშა ჩვენი სულიერი სიმდიდრის ნათელი სიმბოლოცაა.

მეშვიდეჯერ საქართველოში გაზაფხული გამარჯვების წითელი დროშით შემოდის და მშრომელთა ფხიზელი გონება კიდევ ერთხელ აჯამებს მიღწეულს. დროშას აქვს თავისი სიმბოლიკა, მაგრამ მოიცავს მტკიცე, რეალურ შინაარსსაც: მისი შინაარსია ხალხის დაუღალავი გარჯა, შემოქმედებითი შრომა, სიძნელეთა ვაჟკაცური ძლევა, ახალი ქარხნები და ელექტროსადგურები, ახალი გზები და მაგისტრალები, ახალი მეცნიერული აღმოჩენები, ახალი წიგნები, ფილმები, სპექტაკლები, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, დოვლათი და სიუხვე ჩვენი ბარაქიანი სოფლისა... და ეს ყოველივე, ერთად თავმოყრილი და გააზრებული, არის ნაყოფი სწორედ ხალხის შემოქმედებითი შრომისა.

ახლანდელ წარმატებას სხვა, უფრო დიდი მნიშვნელობაც აქვს. ესაა ნაყოფი ლენინური შრომისა. საბჭოთა ხალხი ხომ მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებთან ერთად დიდი ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის ემზადება და ყველა გამარჯვებას შემოქმედებითს შრომაში ბელადის ხსოვნას უძღვნის.

სიმართლე ამ დღეებზე — ამგვარი იყო პათოსი ქართული მწერლობისა, როცა ხალხი დოვლათს ქმნიდა. იქმნება გმირობის მატიანე ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც. მხატვრული სიტყვა ყველას თვალწინ აცოცხლებს ჯერ კიდევ გუშინ უცნობ სახელებს ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი პატიოსანი შრომით „საკუთარი“ აგური მიაქვთ ჩვენი დღეების დიადი შენობის ასაგებად. იწერება გულწრფელი სტრიქონები ახლად ჩაყრილ ნერგებზე, აღდგენილ სოფლებზე, გაცოცხლებულ ტყეებზე, ფოლადზე, რომელსაც ფოლადივით მტკიცე ადამიანები ჭედავენ; იქმნება ტილოები, საიდანაც მტკიცე რწმენის და გაუტეხელი იმედის ადამიანები გვიმზერენ.

ეს ყოველივე მომავლის ადამიანებისათვის, ჩვენი დღეების მხატვრულ მატიანედ დარჩება.

მომავლის ადამიანებს კი ყველაზე უფრო ალბათ დღევანდელობის ერთი მთავარი ნიშანი მოხიბლავთ: ფიქრი მომავალზე!

საბჭოთა ადამიანი არასოდეს ჯერდება მიღწეულს, იგი მუდამ ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, მისი მიზანი მუდამ ფართოა და უნაპირო.

მომავალზე ფიქრს შთაგვაგონებს ის წითელი დროშაც, რომელიც ჩვენი ერთი ღრმაშინაარსიანი, მღელვარე წლის შემოქმედებითი შრომის სიმბოლოა.


ყველანი არჩევნებზე!

ნახატი გივი ლომიძისა.

## შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

15 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა ინგლისში ტრიუმფული გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ ჩამოსულ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა და მუშაკთა ჯგუფს.

თავის შთაბეჭდილებებზე, იმაზე, თუ როგორ მიიღეს თეატრი და მისი სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“ ლონდონში, ილაპარაკეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურაბანიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რ. ჩხიკვაძემ, თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. სტურუამ. აღინიშნა, რომ პოლიტიკური მტრობის გაჩაღებული აურზაურის მიუხედავად, თეატრმა თავისი ხელოვნებით მოაჯადოვა ინგლისელი მაყურებლები და სპეციალისტები. ამას მოწმობს არა მარტო ლონდონის უკლებლივ ყველა გაზეთის აღფრთოვანებული რეცენზიები, არამედ მიღებაც, რომელიც მსახიობებს გაუწიეს. დარბაზი ფეხზე ამდგარი — ეს კი ინგლისში უმაღლეს შეფასებად ითვლება — ტაშს უკრავდა „რუსთაველელთა სენსაციურ ხელოვნებას“.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თეატრის კოლექტივს მიულოცა გასტროლების წარმატებით დამთავრება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი რესპუბლიკის მშრომელები დიდი მღელვარებითა და ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს თეატრის საზღვარგარეთ მოგზაურობას. მით უმეტეს, სასიხარულოა მაღალი შეფასება, რომელიც მან თავისი გამოსვლებით დაიმსახურა.

— თქვენი გამარჯვება მარტო ჭეშმარიტი ხელოვნების გამარჯვება როდია. თქვენ გამოიჩინეთ პოლიტიკური სიმწიფე და იდეური რწმენა, — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — და ძნელია ეს გამარჯვება გადაჭარბებით შევაფასოთ.

მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წარმატება ბევრ რამეს გვავალებს. ამიერიდან თქვენი ცხოვრება კი არ გაიოლდა, არამედ პირიქით — გართულდა, რადგან ყველანი ჩვენ მოველით თქვენგან მხოლოდ წარმატებას, მხოლოდ ჩინებულ სპექტაკლებს.

ჩვენ გვახარებს, — თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. შევარდნაძემ, — რომ რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივების ცხოვრებაში შესამჩნევი პოზიტიური ძვრები ხდება. კარგი ნამუშევრებით გამოიჩინეს თავი კინემატოგრაფისტებმა, მხატვრებმა, მუსიკოსებმა, მწერლებმა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ შემოქმედებითს მუშაკებს სწორად ესმით თავიანთი ამოცანები, თავიანთი მისია — იყვნენ პარტიის აქტიური თანაშემწეები, ახლის, პროგრესულის პროპაგანდისტები.

საქართველოს მშრომელთა მთელი საზოგადოებრიობის სახელით ე. შევარდნაძემ ერთხელ კიდევ მიულოცა თეატრის კოლექტივს წარმატებული გასტროლები, მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ პირნათლად წარმოადგინა მან საზღვარგარეთ საბჭოთა ხელოვნება, უსურვა ბედნიერება და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე. (საქინფორმი).

**ზაურ ბოლქვაძე**

## გაუმარჯოს ზეიმს ქართულს!

შარშან სეტყვა ვენახს ნაჯაფს
ჩაუსაფრდა!.. გადათალხა!..
მაგრამ მაინც გაიმარჯვა
ჩვენმა გმირმა, გამრჯე ხალხმა!

გაიმარჯვა ყოვლის შემძლემ,
უძლეველის მქონემ ძალის
და ზედიზედ მეშვიდეჯერ
ხარობს დროშით გარდამავლით!

დღეს სხვა დღეა, სხვა წელია! —
ძველი სუსხი აღარ გვსუსხავს!
გულზე ფიცად დაწერილი
საქართველო არის სულ სხვა! —

დგას ტრამპლინზე, ემზადება
უფრო დიდი ნახტომისთვის!
როგორ შვენის ეს ნათება! —
შეხედვა ღირს მარტო მისი!

განახლების წყარო წმინდა,
იმედად რომ ხალხი ხმობდა, —
ამოდუღდა! ამობრწყინდა!
ამოსაქართველოოვდა!

ამოდუღდა სიმართლის ქმნად,
დიდი ძვრების მახარობლად,
და მოიცვა რესპუბლიკა
არნახულმა აღმავლობამ!

დაიქუხა გაბედულად
ხმამ პარტიის, ხმამ ხალხისა!

ამ ქუხილმა ახლებურად
მუშაობა დაგვაკისრა!

ვენახს, ჩაის, ჩარხს თუ დაზგას
ვუვლით — ძალას ვინ დაზოგავს?!
საქართველო ახლა სკას ჰგავს
და ამზადებს დიდთაფლობას!

ერი გვანდობს საქვეყნო როლს
და ამ როლში ვიყოჩაღოთ!
საქმე! საქმე! საქმე მხოლოდ!
სიტყვაც ჩვენი — იყოს საქმე!

მიეც სითბო შენახული,
დაკოჟრილო ხელო, ვაზებს!
უნდა დაგვწყდეს ყველას გული
კვირტის გაუშლელობაზეც!

მკაცრი ბრძოლა — ხელისშემშლელ
ანტიპოდებს, გადმონაშთებს!
შუბლზე ოფლი, ცხელი, შეშრეს!
მკლავი შრომით გამოკაჟდეს!

ნაკლი, — რაც გვაქვს, — არ დავმალოთ!
დაბრკოლებებს შევეჭიდოთ,
წითელ დროშას — გარდამავალს —
შემოვერტყათ ირგვლივ მჭიდროდ.

სიახლეთა მზემოდებამ
ღამე უნდა გაათენოს! —
საქართველო ელოდება
უფრო ძლიერ საქართველოს!

## ქართველი მწერლები — ხალხის რჩეულნი

24 თებერვალი ჩვენს ქვეყანაში დიდი პოლიტიკური და სახალხო მნიშვნელობის დღეა, — ხალხი ირჩევს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ხალხმა თავის დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ქვეყნის საუკეთესო შვილები, რომელნიც მზად არიან მთელი თავიანთი ცოდნა და ნიჭი, ძალა და გამოცდილება ჩვენი დიადი სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობას უძღვნან. ხალხის რჩეულთა შორის არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის ვხედავთ ქართველ მწერლებს, რომელთა მაღალიდეურმა და მაღალმხატვრულმა ნაწარმოებებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ქართველ მწერალთაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი არიან ალმანახ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი, ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები: იოსებ ნონეშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი.

საქართველოს სსრ დედაქალაქის — თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებად ამომრჩევლები ხმას მისცემენ ცნობილ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს.

24 თებერვალს მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ხალხის რჩეულებს.

ყველანი არჩევნებზე!



სურათებზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები იოსებ ნონეშვილი და გიორგი ციციშვილი ესაუბრებიან ქართველ მწერლებს: ბესიკ ხარანაულს და ჯემალ აჯიაშვილს.

ფოტოები ა. გურასაშვილისა.

## ნ. დუმბაძის რომანი — ლენინური პრემიის მოსაპოვებლად

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა გამოაცხადა 1980 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებული კანდიდატურები. მათ შორის არის ნ. ვ. დუმბაძე რომანისათვის „მარადისობის კანონი“.**

## „მეგობრობის თეატრის“ ახალი სეზონი

სულ მალე მეშვიდედ გახსნის სეზონს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრი“. შარშან „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით ქართველი მაყურებელი შეხვდა ჩვენი ქვეყნის არაერთ თეატრალურ კოლექტივს, მათს ცალკეულ შემსრულებლებს. გაეცნო მეგობრების შემოქმედებას, ეზიარა ხელოვნებით მონიჭებულ ჭეშმარიტ სიამოვნებას.

„მეგობრობის თეატრი“ თავის უახლოეს გეგმებს გვაცნობს: თეატრი სეზონს ხსნის რუსთაველის თეატრის გასტროლებით მოძმე უკრაინაში. 21-დან 26 თებერვლამდე კიეველები ნახავენ რუსთაველელთა ერთ-ერთ გახმაურებულ სპექტაკლს „კავკასიურ ცარცის წრეს“.

მარტში თბილისში ჩატარდება სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მსახიობის ევგენი ლებედევის შემოქმედებითი საღამო, 1-დან 5 აპრილამდე კი მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივი ესტუმრება ბაქოელ მაყურებელს.

საინტერესოა აპრილ-მაისის აფიშა. აპრილში თბილისს ეწვევა და შემოქმედებითს საღამოს გამართავს რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის „მალაია ბრონნაიას“ თეატრის მსახიობი ლ. დუროვი, ხოლო მაისში 105 კაცის შემადგენლობით ჩვენს დედაქალაქს საგასტროლოდ ეწვევა მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრი.

საინტერესო იქნება „სოვრემენიკის“ გასტროლები, რომელიც დაგეგმილია 27 მაისიდან 7 ივნისამდე, ივლისში კი ასპარეზი დაეთმობა მაიაკოვსკის სახელობის აკადემიურ თეატრს.

სექტემბერში, როდესაც განახლდება თეატრალური სეზონი, თბილისში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობის ევგენი ევსტიგნეევის შემოქმედებითი საღამო. შემოქმედებითს საღამოს გამართავს აგრეთვე რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ბ. კულაგინი; გვესტუმრება მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრი; ნოემბრის თვეში კი საქართველოს ეწვევიან ტაშკენტის ხამზის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობები.

სეზონის დასასრულს ქართველი მაყურებლები შეხვდებიან ლენინგრადის მინიატურების თეატრს, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. რაიკინის მონაწილეობით.

# სიტყვა ეძლევა კრიტიკოსს

თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის აქტუალურ პრობლემებს ამას წინათ „ლიტერატურული საქართველოს" სარედაქციო სტატია მიეძღვნა („სად არის კრიტიკა?" „ლ. ს." № 5).

ამ თემაზე საუბრის გაგრძელების მიზნით რედაქციამ კითხვებით მიმართა ჩვენს კრიტიკოსებს და ლიტერატურათმცოდნეებს.

1. გაკმაყოფილებთ თუ არა დღევანდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე? რას თვლით კრიტიკაში ბოლო წლების მთავარ მიღწევად? რა მიგაჩნიათ მის მთავარ ნაკლად?

2. იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ კრიტიკოსები გაურბიან აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას?

3. იძლევა თუ არა დღევანდელი ქართული პოეზია, პროზა და დრამატურგია ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს?

4. რა შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა მიგაჩნიათ საჭიროდ ლიტერატურული კრიტიკის გააქტიურებისა და ჩვენს მხატვრულ ცხოვრებაში უფრო ქმედითი ჩარევისათვის?

დღეს გთავაზობთ რამდენიმე პასუხს ჩვენს ლიტერატურულ ანკეტაზე.

## აკაკი გაწერელია:

თანამედროვე ქართული კრიტიკის ვითარება თითქმის იმავე დონეს ასახავს, რასაც ქართული მწერლობის სხვა ჟანრებში მომუშავეთა პროდუქცია. მხედველობაში გვაქვს საუკეთესო ლიტერატურული სტატიები, რომელთა ღირსებებია: დახვეწილი სტილი და მწერლისადმი კეთილმოსურნეობა. უნდა გავიმეორო ჟურნალ „ცისკარში" უფრო ადრე თქმული: ქართული კრიტიკის ჩამორჩენილობაზე წამდაუწუმ ლაპარაკი ტრივიალობად იქცა, რაც აზროვნების ინერციაზე მეტყველებს. როცა ჩვენს მწერლობაში მუშაობენ, მაგალითად, ლავროსი კალანდაძე და გიორგი ნატროშვილი, გიორგი მარგველაშვილი და გურამ ასათიანი — და შედარებით ახალგაზრდა ლიტერატორები — სხვაგვარად ფიქრი უსაფუძვლოა.

საკუთარი პრესტიჟის დაცვის მიზნით ამას არ ვაცხადებთ: კრიტიკის დარგში რაც საერთოდ გვიწერია, იგი 2 თაბახს არ აღემატება. 1941 წლის შემდეგ („წიგნები და ავტორები") ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მცირე მოცულობის სტატია დავბეჭდეთ, რის გამოც კრიტიკოსად არც ვთვლით თავს (პოეტიკაში მუშაობა კრიტიკაში არ შედის). კრიტიკა მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი ძლიერი და შემავალი ნაკადია, ხოლო პირადად ჩვენ ამ პროცესისათვის საჭირო არაფერი დაგვიწერია.

მაგრამ, აი, ესთეტიკის დარგში მგონი რაღაც ცდები გვაქვს (ესსე — ცდას ნიშნავს) ჩვეულებრივ ეს ფორმა იმპრესიონისტულ ანუ ზერელე მოსაზრებათა გამოფენად მიაჩნიათ. ეს დიდი შეცდომაა. ესსე კრიტიკული პროზის შესანიშნავი სახეა, თუმცა ჩინებული პოეტი, ჩვენი მეგობარი მუხრან მაჭავარიანი აცხადებს: „პროზა? ესსე?! — რისი ფლავი, რისი ბოზბაში?! რაიცა იყო, რაცაა და იქნება რაიც, — მოქცეულია ერთ ჯიგრიან კალმის მოსმაში!"

ასეთი რამ მგოსანს უნდა დაეწერა (თვითონ ესსეისტმა მივულოცეთ ავტორს ზემოთმოტანილი სტრიქონები), რადგან მსგავს პოეტურ რიტორიზმს ჩვეულებრივ გონებამახვილური და სხარტი გამოთქმა ამართლებს და ისიც მარტოოდენ ლექსის ჩარჩოებში, თეორიის ენაზე კი მისი გადატანა არ შეიძლება. აკი პროზის მშვენებაა თვითონ მუხრანის სათაყვანებელი საბა, სერვანტესი ან ტოლსტოი?! რაც შეეხება ესსეს, უნდა გავიხსენოთ ამ ჟანრის ფუძემდებელი, გენიალური მონტენი, ბევრის მხრივ შექსპირის მასწავლებელი („ჰამლეტი", „ქარიშხალი"). ლიტერატურული შემოქმედების უმაღლესი ნიმუშებია პოლ ვალერის ესსეები („ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი", ესსეები მალარმესა, დეგასა და მანეს შესახებ და მრ. სხვა). განა ოდნავ საეჭვოა, რომ იგი უფრო დიდი პროზაიკოსია, ვიდრე პოლ ბურჟე? ბელინსკის წერილები პუშკინის პოეზიაზე ან მოჩალოვის თამაშზე უფრო მეტს პოეზიას შეიცავს, ვიდრე აპუხტინის ლირიკა ან ლევ გუმილევსკის, შელერ-მიხაილოვსკის თუ ბობორიკინის მრავალსერიანი რომანები. რომელი მათგანის თუნდაც სახელწოდებას მოიგონებს დღევანდელი მკითხველი? ახლახან მივიღეთ ბაჩანა ბრეგვაძის „მიქელანჯელოს პოეზია". სხვა ჟანრში თუ ხშირად იქმნება ანალოგიური რამ?

საერთოდ, ლიტერატურული ევოლუციის ყველა ეტაპზე ამათუიმ ფორმის უპირატესობის აღიარება — ისტორიული ფიქციაა. ვინ გაუტოლებს ფენომენალური ვ. როზანოვის ინტიმურ ჩანაწერებს („მარტოობისას", „ცვენილი ფოთლები") მის დროს დიდად პოპულარული არციბაშევის პროზას?

თუ კრიტიკა ზოგჯერ დადებითად არ აფასებს ვისმეს, ამ უკანასკნელმა ხანდისხან მაინც თავის თავში უნდა ეძიოს მიზეზი. კრიტიკა არ შეიძლება სამომხმარებლო ასორტიმენტის დონეზე იქნას დაყვანილი („ქება — მე, ძაგება — სხვას!"). კრიტიკას არ აქვს უფლება დითირამბების მუდამ ერთი მიმართულებით აღვლენისა. თუ ქართული კრიტიკის რაიმე ნაკლი გვეცემა თვალში ზოგჯერ — ესაა მიდრეკილება ტენდენციურობისადმი, სუფრაზე გამომუშავებული ინდულგენციების გაცემისადმი. თანაც, კრიტიკის ობიექტი არ შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც იბეჭდება, ე. ი. მისი ყურადღების ცენტრში ჩვეულებრივ მოქცეულია არა ლი[illegible] ყველა ფაქტი. [illegible]ტიკურად ფ[illegible] ქმნილებ[illegible] — „არა ლ[illegible]ოდ, არამედ [illegible]ის ლიტერატურულობა! ამიტომ „სულისათვის დიდი ბოროტებაა ყოველთვის ნეგატიურად იყო განწყობილი". მსოფლიო ლიტერატურაში კრიტიკის საუკეთესო ნიმუშები მეტწილად მწერლებისადმი სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული. ბალზაკისათვის არაფერი დაუკლია სენტ ბევის დაცინვებს.

ლიტერატურაში ვისიმე შეურაცხყოფა (სირინოზის ხმით გამოთქმული თუ ბაზრული ჟარგონით) — დაბალი სულიერი კატეგორიის ხალხის საქმეა და იგი გარდუვალად წარმოშობს მომაკვდინებელ რეაქციას, რადგან „დანაშაული თავისთავშივე შეიცავს სასჯელს". ეს ჭეშმარიტება ყველა ჟანრის წარმომადგენელს ეხება.

ქართულ კრიტიკას ზოგჯერ დუმილს საყვედურობენ, თუმცა დუმილიც კრიტიკის თავისებური ფორმაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შედევრები სერიულად არ იქმნება. ლიტერატურა მოულოდნელ და ბედნიერად მიგნებულ მხატვრულ ნიშანთა სისტემაა. თუ ამგვარი რამ გამოჩნდება და კრიტიკა მას გვერდს აუვლის — დანაშაულია.

დღევანდელი ქართული პოეზია და პროზა, ამ ჟანრების საუკეთესო ნიმუშების კვალობაზე, უეჭველად იძლევა საბაბს სერიოზული კრიტიკული აზროვნებისათვის. ლიტერატურაში ყველაზე მკაცრი ფილტრაციის როლს დრო ასრულებს, კრიტიკამ კი დროს უნდა დაასწროს პოზიტიური შეფასებისა თუ მიუკერძოებელი მსჯავრის გამოტანისას (მაგრამ არა ავტორის გაქიაქების მიზნით, — ამგვარი რამ თვით ბელინსკის არ გამოუვიდა მთლად მარლინსკის ან ჩვენს დაუვიწყარ კიტა აბაშიძეს — გ. წერეთლის მიმართ): ბოლოსდაბოლოს თვითონ პოეტებსა და პროზაიკოსებს შეუძლიათ ნაყოფიერად იმუშაონ კრიტიკის დარგში, თუ ისინი ამ დარგისადმი პატივისცემით განიმსჭვალებიან. შარლ ბოდლერი, რომლის სულ მცირეოდენ დაფასებას თრთოლვით ელოდა ხოლმე რიხარდ ვაგნერი, სწერდა: „ყველა დიდი პოეტი ბოლოსდაბოლოს კრიტიკოსად იქცევა. მე მებრალება ის პოეტები, რომელთა საქმიანობას მარტოოდენ ინსტინქტი წარმართავს. მე მათ არასრულფასოვნად ვთვლი". ედგარ პოზე კი საგანგებოდ აღნიშნავენ: პოეზიასა და პროზაში იმიტომ არ ეშლებოდა არაფერი, რომ უცთომელი იყო კრიტიკასა და პოეტიკაშიო. ეს შეხედულება სადავო არაა.

„ლიტერატურის რომელიმე ჟანრში ნაყოფიერ მუშაობაზე უფრო მნიშვნელოვანია ერთი რამ — ჭეშმარიტი უნივერსალიზმი".

ჩვენი აზრით, ზოგი კრიტიკოსი ფარხმალს ჰყრის მოზღვავებულ ამბიციათა წინაშე. ნამდვილი მწერლისათვის კი დამახასიათებელია არა მარტო საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, არამედ მუდმივი სკეპსისი და მოკრძალება. უცნაური კია: თუ, მაგალითად, მუსიკაში სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა რომელიმე თანამედროვის მიერ მალერთან ან დებიუსისთან თავის გატოლება („მე და დებიუსი!"), ან მხატვრობაში, ვთქვათ, რენუართან („მე და რენუარი!"), მწერლობაში კი ზოგი იმ შეგნებით დადის, რომ მისი ადგილი ამა და ამ მსოფლიო მასშტაბის შემოქმედის გვერდითაა („მე და ელიოტი", „მე და ჰემინგუეი", „მე და მარკესი" და ა. შ.). ნიჰილიზმი კი არა, მოკრძალებისადმი მოწოდება გვაწერინებს ამას, ტოლსტოის გენიაა საჭირო საკუთარი პროზის „ილიადასთან" შედარებისას ან სტენდალის ჭკუა განცხადებისათვის — ასი წლის შემდეგ დამაფასებენო.

კრიტიკის მიზანი ისიცაა, რომ ცხადყოს — ნამდვილი მწერალი ფუჭი ილუზიებით არ უნდა ცხოვრობდეს. საჭიროა მეტი მყუდროება, — არც დაუმსახურებელ ძაგებას მოაქვს სასურველი ნაყოფი, არც შეუფერებელ ქება-დიდებას. ამასთან, ყველა „ლიტერატურული სეზონი" ერთ ან ორ პირს არ ეკუთვნის. „თაობათა ცვლის" მომენტი აქ არაფერ შუაშია.

ზოგი კრიტიკოსი თუ აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას გაურბის, ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ამბიციურ პირთა წინაშე შიში უნდა იყოს. უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი კი სხვაა: კრიტიკის დარგში მომუშავეთა დაუფასებლობა. მაგ., თუ რუსეთში კარგი ლიტერატურათმცოდნეობითი და კრიტიკული შრომებისათვის რიგდება პრემიები (ლენინური, სახელმწიფო...), ჩვენში კი, მაგალითად, რუსთაველის სახელობის საპრემიო კომიტეტში, მგონი დღემდე არც დასმულა საკითხი აღნიშნულ დარგებში შექმნილი ღირსეული წიგნებისათვის მათი ავტორების დაჯილდოებისა და წახალისებისა. რა ამართლებს ქართული ლიტერატურის უაღრესად მნიშვნელოვანი უბნის ასეთ იგნორაციას? ვფიქრობთ, სრულიად არაფერი.

რა თქმა უნდა, თვითონ კრიტიკამაც უნდა იზრუნოს საკუთარი პრესტიჟის ამაღლებისათვის. ვფიქრობთ, აუცილებელია მეტი რაოდენობით ბეჭდვა კვალიფიციური სტატიებისა ჩვენი მწერლების მხატვრული ოსტატობის შესახებ, მაგრამ ანალიზი არ გულისხმობს, მაგ., უმთავრესად ენობრივ შენიშვნებს და ლაფსუსების რეგისტრაციას (პუშკინი: „გრამატიკული შეცდომების გარეშე რუსულ ენას ვერ ვიტან"!). გასულ საუკუნეში ერთი ფელეტონისტი საბას იგავმიუწვდენელად სრულყოფილ სტილს „ენაბრგვილობად" მიიჩნევდა. დღეს სასაცილოდ ჟღერს დ. მერეჟკოვსკის ქირქილი ტოლსტოის ენობრივ „უმწეობაზე" („ტო ჩტო"-ს ხშირი განმეორება და სხვა.). დ. კლდიაშვილზე უკეთ იცოდა ქართული ზ. გულისაშვილმა. რამდენიმე ლინგვისტი ამტკიცებდა წარსულში — ნ. ბარათაშვილის ქართული ცუდიაო. დიდი პოეზიისა და პროზის მთავარი პროტაგონისტი — ღრმა აზრია და იგი ზოგჯერ ანგრევს კიდეც ენის სტაბილურ ნორმებს და აჰყავს ინდივიდუალური სტილის რანგში (ტურგენევის აზრი გერცენის სტილზე: „საძაგლობამდე უსწორო ენა, მაგრამ როგორი სასწაული — თვითეული ფრაზა ცოცხალი სხეულია"). აუტანელია ჩვენში დანერგილი კულინარული გამოთქმები: „ნოყიერი ქართული", „დახუნძლული და მდიდარი ლექსიკა" და მისთ. ზოგჯერ ჩვენ სიმდიდრეს ვნახულობთ იქ, სადაც არსებითად პაწია აზრი სიტყვათა უპასუხისმგებლო ნიაღვარში ინთქმება. „არავითარი ლამაზი ფრაზა პროზაში არაფერს შველის, იგი მოითხოვს აზრებს, აზრებს და აზრებს" (პუშკინი). სულზე უტკბეს ვაჟას ვერც ერთ ფრაზას ვერ შეუკვეცავთ, — ეს დიდი ხელოვნებაა. და კრიტიკამ უნდა გამოავლინოს ის ახალი, რაც აზრის შედედებულად გადმოცემამ და თხრობის ახალმა სტილმა მოიტანა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ჩვენ არ მოგვეპოვება სტატიები (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) ქართველი პოეტებისა და მწერლების სტილისა და თხრობითი დიქციის თავისებურებებზე (მაგ., მოკლე რეპლიკების ხასიათზე მურმან ლებანიძის ლირიკაში, ასოციაციური მსჯელობის თავისებურებაზე ემზარ კვიტაიშვილის თეთრ და თავისუფალ ლექსში, მეტაფორის დანიშნულებაზე ოთარ ჭილაძის პროზაში და მრ. სხვ.).

ქართული მწერლობა მაშინ აღიჭურვება კრიტიკისადმი პატივისცემით, როცა იგი მკაფიოდ და ობიექტურად გამოავლენს ვისმეს ჭეშმარიტ ოსტატობასა და ვისმეს მხატვრულ უმწეობას.

ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებას ცოტათი მაინც აფერხებს ის გარემოებაც, რომ ჩამოყალიბდა ჯიუტი უმეცარის ტიპი, რომელიც რედაქციის კარებს ამტვრევს მეთოდური აბეზარობით და მორიგი პასკვილის გასასაღებლად. ამ ღვარძლმოსილს თავის პროფესიად გაუხდია ვინმე ღვაწლმოსილის წინააღმდეგ „ლაშქრობა", სწერს საჩივრებს, არეკვინებს და ა. შ. ეს ტიპი — ანონიმური ბარათების მთხზველის ლეგალური ვარიაციაა... და „გააქვს" კიდეც თავისი.

## გიორგი მერკვილაძე:

1. კრიტიკოსს, თავისი პროფესიული მოწოდების გამოც, არასოდეს არ უნდა აკმაყოფილებდეს ლიტერატურული კრიტიკის დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებ გარდუვალიც იყოს თვითკმაყოფილების გრძნობა. თვითკმაყოფილება კი, როგორც წესი, კრიტიკოსს ყნოსვასაც უჩლუნგებს და კალამსაც. მაშასადამე, ჩემი პასუხი ნათელია: თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე არ მაკმაყოფილებს. მაგრამ ეს სრულებითაც არ მაძლევს უფლებას დავსვა, ცოტა არ იყოს, პანიკური კითხვა „სად არის კრიტიკა?" კრიტიკა არის და მოქმედებს. ბოლო წლების ამგვარი მოქმედი კრიტიკის ნიმუშებად მე მივიჩნევ, მაგალითად, გ. ასათიანის „პოეზიას და სხვას", ჯ. ღვინჯილიას „თაობას", კ. იმედაშვილის „ახალ სახელებს", გ. პეტრიაშვილის „ლამაზი ლიტერატურის მირაჟს", გ. ბენაშვილის „ახალგაზრდული პროზის მრავალხმიანობას", რ. მიშველაძის „ზნეობრივ გაკვეთილს"... აღნიშნულ და ამ ხასიათის სხვა წერილებში განხორციელებული ლიტერატურული პროცესის ანალიტიკური სიღრმე, კრიტიკული აზრის მოულოდნელი მოძრაობა, მონდომებული სწრაფვა მაღალი პროფესიონალიზმისაკენ მიმაჩნია ჩვენი კრიტიკის ბოლო წლების მთავარ მიღწევად. დიახ, მთავარ მიღწევად, მაგრამ არა მისი პოტენციის ზღვრულ გამოვლენად. და აი, ბუნებრივად მივადექით პასუხს თქვენს ერთერთ კითხვაზე — რა მივიჩნიოთ კრიტიკის მთავარ ნაკლად? ა) მისი ნაკლები მობილურობა, ერთგვარი ჩამორჩენა ლიტერატურული ცხოვრების ახალი მოვლენებისაგან, დაგვიანებით მისვლა ამ ცხოვრების ახალ ტენდენციებთან; ბ) მძაფრი, ცოცხალი კრიტიკული აზროვნებიდან თანდათანობით გულდინჯი ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში გადასვლის ტენდენცია, რაც ესოდენ სასარგებლოა ამ უკანასკნელისათვის, მაგრამ ფრიად საზიანოა პირველისათვის, საზიანოა, რადგან ცოცხალ კრიტიკას უკვე „გამორჩა" მხედველობიდან არა ერთი ფორმით სუსტი და შინაარსობრივად არააქტუალური ნაწარმოები; გ) დაუძლეველი ტენდენციურობა, რასაც ხშირად ბადებს სუბიექტივიზმიც და ყალბად გაგებული კორპორაციული „მორალიც" ან „სამაგიეროს მიზღვის" განუქარვებელი ჟინი (აქედან გაუთავებელი დავა, რომლის საბოლოოდ განმსჯელი არ ჩანს!); დ) უგულებელმყოფი, წაყრუებითი დამოკიდებულება აქტიური კრიტიკისადმი, როდესაც მის გონივრულ ხმას ყურად არავინ იღებს; ე) ნაკლები სინათლე კრიტიკულ აზროვნებაში, ხაზგასმული მანერულობა სტილისა, რაც ხშირად „ღრმა" და „ორიგინალური" აზროვნების ნიმუშად საღდება. როგორც ხედავთ, საკმაოდ ბევრი რამ დაგროვდა. მაშ, რაღა რჩება დადებითი კრიტიკასო, შეიძლება მკითხოთ. რჩება ის, რაზეც ზევით მოგახსენეთ და რასაც ჭირდება ყოველმხრივი მხარდაჭერა, განვითარება და განმტკიცება. რაც შეეხება თვალსაჩინო ხარვეზებსა და სერიოზულ შეცდომებს, ეს დასაძლევი ნაკლია კრიტიკისა და არა მისი უკურნებელი სენი.

2. ზემოთ დასახელებულ და მათ მსგავს ბევრ სხვა მაგალითს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება მთლად მართებული არ გვეჩვენოს კითხვის თქვენეული დასმა. კრიტიკის აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებად მე მიმაჩნია არა მხოლოდ მისი ნეგატიური პათოსი (რას „შეებრძოლოს"), არამედ პოზიტიური სულიც (რას დაუჭიროს მხარი). ეს ორი მხარეა ერთი მთლიანი, განუყოფელი პროცესისა. მაშასადამე, ლიტერატურული კრიტიკის აქტივობა არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ, უხეშად რომ ვთქვათ, „შეტევის" პათოსით. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მწერალთა ერთ წრეში გამეფებული კრიტიკის მოუთმენლობის ატმოსფერო, მწვავე, მაგრამ კეთილგანწყობილი საუბრის პირად მტრობად, შურისძიებად, გასაღება და აქედან მომდინარე ავადმყოფური რეაგირების შედეგი ხანდახან კრიტიკოსს მუცელშივე ჩაუბრუნებს ხოლმე ენაზე მოსულ საჭირო სათქმელს. ხშირად ასეც ხდება — კარგ მთქმელს არც კარგი გამგონე გამოუჩნდება და არც კეთილი ქომაგი. ზარზეიმის ამ რამდენიმე წლის წინანდელმა მავნე პრაქტიკამ დაგვიტოვა ეს მძიმე მემკვიდრეობა. მაგრამ ახლა ყველა პირობა არსებობს მის დასაძლევად, მხოლოდ საჭიროა მათი გონივრული გამოყენება.

3. დიახ, ჩემი აზრით განსაკუთრებით დღევანდელი ქართული პროზა და პოეზია იძლევიან ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს. ნუ ავყვებით ზოგიერთი ლიტერატორის გამაღიზიანებელ შეგონებებს და ზოგ შემთხვევაში მოჩვენებითს გულისწუხილს ლიტერატურული კრიტიკის უსუსურობის გამო, ნუ გაგვიტაცებს სამაგიეროს მიგების ვნება და გულმართლად ვთქვათ: საინტერესო ძვრები ვერსიფიკაციის სფეროში, გრძნობისა და აზრის სინთეზის ახალი ფორმები ლირიკაში, ინტელექტუალური პროზის ნაკადის მომძლავრება, ჟანრული ფარგლების განვრცობა-გამრავალფეროვნება (აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიული რომანის, მიკრორომანის განვითარების ახალი ტენდენციები) და ბევრი სხვა სიახლე ჩვენი პროზისა და პოეზიისა არა თუ იძლევა, არამედ მოითხოვს კიდეც მახვილალღოიან ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს, ფართო ინტელექტს და ღრმა აზრს დაფუძნებულ კრიტიკულ განარკვს. ნუ ვიტყვით, რომ ასეთი დიდი საუბარი ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში თითქოს არ დაწყებულა. მაგრამ ნურც თავს მოვიტყუებთ; სერიოზული საქმე წინ არის და იგი ჩვენი ლიტერატურულ-კრიტიკული ძალების მთელი ინტელექტისა და შემოქმედებითი უნარის სასტიკ დაძაბვას მოითხოვს.

4. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მწერალთა კავშირის სექციების მუშაობის გარდაქმნით დაწყებული და თითოეული კრიტიკოსის უპირველესი მოვალეობის გრძნობის გაძლიერებით დამთავრებული. მხოლოდ ზოგიერთ რამეზე შევჩერდები: ა) ალმანახ „კრიტიკით" უნდა დავიწყო. „კრიტიკა", რომელმაც თავისი არსებობის რვა წლის მანძილზე მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა, უნდა იქცეს ორთვიურ ორგანოდ; მისი ტირაჟიც უნდა გაიზარდოს. ეს გააძლიერებს ალმანახის ოპერატიულობას და ქმედითობას; ბ) კრიტიკულ ლიტერატურას მეტი ადგილი უნდა დაეთმოს საგამომცემლო გეგმებში, თანაც საჭიროა გამომცემლობებმა ითავონ შერჩეული კრიტიკული წერილების წლიური კრებულების ოპერატიული გამოცემა. მჯერა, ეს საკმაოდ ხელსაყრელ ამინდს შეუქმნის კრიტიკას; (გაუმართლებლად მიმაჩნია მოცულობის მხრივ რაღაც სტანდარტული შეზღუდვების შემოღება ლიტერატურულ-კრიტიკული გამოცემებისათვის, მით უმეტეს, რომ ასეთი შეზღუდვანი, ბუნებრივად, არ არსებობს სხვა ჟანრებისათვის); გ) რუსთაველის პრემიების მინიჭება უნდა გავრცელდეს საერთოდ ლიტერატურათმცოდნეობაზეც, რომ აღიარების ეს მეტად საპატიო ფორმა ლიტერატურული კრიტიკის დარგშიც გამოვიყენოთ; დ) მე ყურადღებით ვეკიდები ჩვენი ზოგიერთი მწერლის ხშირად არცთუ უსამართლო პრეტენზიებს ლიტერატურული კრიტიკის მიმართ. მაგრამ, როცა ასეთ მკაცრ შენიშვნებს ვისმენ, ყოველთვის ერთი და იგივე კითხვა თუ სურვილი მებადება: რა უშლის ხელს პროზაიკოსს, პოეტს, დრამატურგს იყოს კრიტიკოსიც — სწორედ ისეთი, თვითონ იდეალად რომ ესახება? მწერლის დამრიგებლის პოზა, რასაკვირველია, არ ვარგა კრიტიკოსისათვის, მაგრამ იგი ვერც მწერალს ამშვენებს დიდად, როცა კრიტიკოსს ჭკუას არიგებს. ჩვენს აქტიურ ლიტერატურულ-კრიტიკულ ცხოვრებაში მწერალიც უნდა ჩაებას. კლასიკურ ლიტერატურას სამისო არა ერთი და ორი ჩინებული მაგალითი მოუცია.

## ოთია პაჭკორია:

1. პირველ შეკითხვას ასე ვუპასუხებდი — საქმე ისაა, რას ვგულისხმობთ ე. წ. „კრიტიკის დონეში". თუ წერის საერთო კულტურას, ანალიზის უნარს, თვით კრიტიკოსთა პროფესიონალიზმსა და ლიტმცოდნეობის თანამედროვე მეთოდის ფლობას — ამ მხრივ კრიტიკის დონე ფრიად „დამაკმაყოფილებელი" გახლავთ. თუ ვგულისხმობთ პრინციპულობას, პირუთვნელობას, კრიტიკის ქმედითობასა და ოპერატიულობას, მიმდინარე სალიტერატურო პროცესებში აქტიურად ჩარევის ტენდენციას — ამ მხრივ კრიტიკის დონე, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელია. სწორედ ეს ორი ვითარება მიმაჩნია ბოლო წლების მთავარ მიღწევადაც და მთავარ ნაკლადაც. ჩანს, ამ ვითარებათა შორის ჰარმონიული ერთიანობის მიღწევა მომავლის საქმეა და ქართული კრიტიკისთვის გარდუვალი საქმეც.

2. აქტიური ლიტერატურული ცხოვრებიდან კრიტიკოსთა გაქცევის მიზეზთა გამო ბევრის თქმა შეიძლება — აქ არსებობს ობიექტური და სუბიექტური მიზეზების რიგი, რომელთა ერთიანად გარემოცვის პრეტენზია მე არ მაქვს (ეს ძალზედ სერიოზული და ძნელი ამოცანაა), ორიოდ მომენტის თაობაზე სიტყვის ჩამოგდება კი შეიძლება.

მწერლის დამოკიდებულება კრიტიკისადმი არ გულისხმობს მაინცდამაინც განსაკუთრებულ მგრძნობელობას, პატივმოყვარეობას, უმარისობის განცდას და ა. შ. ამ ბოლო დროს მწერლები (ჩვენშიც და სხვაგანაც) კრიტიკაზე მსჯელობისას ხშირად ხმარობენ სხვადასხვა სახის, პირობითად რომ ვთქვათ, მეტაფორას. მაგალითად, ავგეას, ბუცეფალის, პეგასის თავლებს, ასენიზატორს, მეეზოვეს და სხვ. უნდა ითქვას, რომ ისინი ცდილობენ ამ ასენიზატორსა და მეეზოვეს კეთილშობილი და საპატიო იერი მიანიჭონ. ალბათ არის აქ სიმართლის ელემენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვუფიქრდებით, რომ ამგვარი კვალიფიკაციით თვით კრიტიკოსს ვართმევთ უფლებას — იყოს საინტერესო კაცი; ხოლო კრიტიკას მთავარს — ლიტერატურულ არსს, ლიტერატურული გვარის თვისებას. მწერლები მოწყალედ აცხადებენ — კრიტიკა მწერლობააო (სხვათაშორის, ყველა არც აცხადებს), ოღონდ რატომღაც იქვე ჩამოართმევენ კრიტიკას მწერლობის ფუნქციას.

ჩემთვის, პირადად, უპირველესი მნიშვნელობა აქვს — ცდილობს თუ არა კრიტიკოსი თვით კრიტიკის ფარგლებში ესთეტიკური ღირებულების, ჟანრობრივი ნაირგვარობის შექმნას (ერთი ქართველი მწერალი კი ესეისტიკას პირდაპირ მიიჩნევს უარყოფით ფაქტორად), ჩემთვის გასაგები და ახლობელია ვ. როზოვის დაინტერესება კრიტიკოსის პიროვნებით, მისი აზროვნების სტილით, თუ შეიძლება ასე ითქვას — კრიტიკის ესთეტიკით (ალბათ ბევრისთვის ეს საპირისპირო ცნებებიც კია). საქმე ისაა, რომ ჩვენ ზოგჯერ გაიგივებული გვაქვს ლიტერატურული კრიტიკა და საგაზეთო ჟურნალისტიკა. თავის მხრივ, მკითხველიც ხშირად ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან ჭეშმარიტი კრიტიკისთვის დამახასიათებელი აზროვნების სტილსა და ფორმებს და იმ გავრცელებულ კრიტიკულ ოპუსებსა და, სხვათაშორის, იმ ე. წ. მიმოხილვით წერილებს, უმეტესად ფაქტთა აღრევისა და გაუგებრობის საბაბი რომ ხდებიან.

როცა მწერლები ასწავლიან კრიტიკოსებს — როგორი უნდა იყვნენ (ისეთივე მენტორული ტონით, რასაც თვით მათ უჩივიან), ასე მგონია, ისინი თავისთვის ლიტერატურული მოახლეების აღზრდას ცდილობენ.

ჯონ ფოლკნერი წერს, რომ უილიამ ფოლკნერს არ უყვარდაო პრესის კითხვა, რადგან უზომოდ აღელვებდაო ყოველივე მის გამო დაწერილი. ეს პატიოსანი სიმართლეა.

როცა მწერლები ამბობენ, რომ საერთოდ არ აინტერესებთ მათზე დაწერილი სტატიები, ეს უკვე ქედმაღლური პოზაა (და კრიტიკოსების „გააქტიურებას" არც თუ ისე უწყობს ხელს).

ერთიც უნდა ითქვას, ჩვენ ხშირად არ გვყოფნის ე. წ. ლიტერატურული საუბრის კულტურა, ვერ მივაღწიეთ კეთილმოსურნე და თანაბარუფლებიანი მხარეების დიალოგს, ვერ ვახერხებთ მწერლისთვის შენიშვნის ისე მიცემას, რომ არ შეურაცხვყოთ იგი, არ შევეხოთ უხეშად მის ინდივიდუალობას. ეს ასეა, მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას განსხვავებული (ხშირად უკიდურესად განსხვავებული) თვალსაზრისების არსებობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ; ჩვენ კი, რატომღაც, კრიტიკისგან ერთნიშნა შეფასებას მოვითხოვთ.

შესაძლოა კრიტიკოსთა ინერტულობის მიზეზი ისიც იყოს, რომ თითქმის ყოველი მძაფრი კრიტიკული წერილის დაბეჭდვა დაკავშირებულია მთელ რიგ გართულებებთან (მე მძაფრში არ ვგულისხმობ განმაქიქებელს ან შეურაცხმყოფელს), — და ეს იმის გამო, რომ ჩვენზე დაწერილ ყოველ სიტყვას, ყოველ კრიტიკულ შენიშვნას ლიტერატურული ასპექტით კი არ აღვიქვამთ, არამედ ვუკავშირებთ პრაქტიკულ ცხოვრებას და ჩვენი უფლებებისა და მიღწეული მდგომარეობის ხელყოფად მივიჩნევთ. რა დასამალია, გაჩნდნენ მწერლები, რომელთა მიმართ მხოლოდ „ხოტბის აღვლენაა" შესაძლებელი. აქ კი, ცოდვა გამოტეხილი სჯობს, კრიტიკოსებსაც საკმაო წილი უდევთ. ასე იქმნება დიფერენცირებული კრიტიკა, სწორედ ამიტომაა ძნელი ლაპარაკი კრიტიკის მაორგანიზებელ როლსა, პირუთვნელობასა და პრინციპულობაზე.

3. ჩემი აზრით, დღევანდელი ქართული პროზა და პოეზია ღრმა ლიტერატურული აზროვნების, მაღალი დონის კრიტიკული აზროვნების საფუძველს დიახაც იძლევა. ოღონდ არ არის საკმარისი ცალკეულ ნაწარმოებთა თუნდაც უაღრესად საინტერესო ანალიზი ან ის ზერელე მიმოხილვები, რომლებიც უფრო წლიურ საწარმოო ანგარიშს წააგავან, ვიდრე მრავალფეროვანი ლიტერატურული პროცესის ერთიანი სისტემით წარმოდგენის ცდას.

4. ბოლო კითხვის პასუხს, ვფიქრობ, წინა პასუხები თავისთავად მოიცავენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია, არ შეიძლება ლიტერატურული კრიტიკისადმი ცალმხრივი მიდგომა, მისი ცალმხრივად გააქტიურების ცდა. იგი თავის არსით რთულ სოციოლოგიურ პროცესებს და ასევე რთულ ესთეტიკურ კატეგორიებს უკავშირდება. საქმე არც ის, პირდაპირ მოდაო ქცეული თვითგვემა შველის, რაც ჩვენს პრესაში გავრცელებულა. მე ამგვარი „აღიარება" უფრო თავისმართლება და თავშესაფრის ძიება მგონია. კრიტიკის გააქტიურებისთვის აუცილებელია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების, ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობების მოწესრიგება, ცოტა ნაკლები პრაქტიციზმი, ცოტა მეტი უანგარო მსახურება.

## მამუკა წიკლაური:

1. ხშირად კრიტიკაზე ისე საუბრობენ, რომ მგონია, ლიტერატურულ კრიტიკაში ქალაქის დასუფთავების ტრესტის მსგავს რაღაც დაწესებულებას გულისხმობენ, რომელსაც ევალება ქალაქგარეთ გაიტანოს და გადაყაროს ბუჩო.

კრიტიკის დანიშნულება ამ ფუნქციამდე არ უნდა დავიყვანოთ. უნიჭო ნაწარმოებთა გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში ლიტერატურული ჟურნალების რედაქციებსა და გამომცემლობებს უნდა მოვთხოვოთ.

ჩვენი კრიტიკა დღეისათვის აშკარად წინ წავიდა. რაც მთავარია, ლიტერატურული კრიტიკა მართლა ლიტერატურული გახდა, შემოქმედებითი ცხოვრების მძიმე ცხოვრებით ცხოვრობს.

რაც შეეხება ნაკლს... ეს ნაკლი იგივეა, რაც პოეზიასა და პროზაში. იბეჭდება ბევრი არაკვალიფიციური, არაპროფესიული კრიტიკული ნაწარმოები და ამ ნაკადს გზა, პირველ რიგში, ისევ ჟურნალებმა და გამომცემლობებმა უნდა გადაუკეტონ — აშკარად სუსტი ნაწარმოების დანახვას მაინცდამაინც ბელინსკის ლიტერატურული ტალანტი არ ჭირდება...

2. ათასი სავარაუდო მიზეზი მომისმენია და თავის მხრივ თითქოს ყველა მართალია, მაგრამ მაინც მგონია, რომ აქ გვავიწყდება ერთი მომენტი: კრიტიკოსი შემოქმედია, მწერალია (ფართო გაგებით), როგორც პოეტი და პროზაიკოსი. ნამდვილ ლიტერატურულ წერილებს მხოლოდ ნამდვილი, კრიტიკოსებად დაბადებული კრიტიკოსები ქმნიან, ისევე როგორც ეს ხდება პოეზიასა და პროზაში.

დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში არ ვიცი ერთი კრიტიკოსიც კი, რომელიც „აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას" გაურბოდეს. ეს არც შეიძლება მოხდეს, და თუკი ამაზე მაინც შეიძლება ლაპარაკი, იმავე უფლებით, რა უფლებითაც შეიძლება ვკითხოთ — რატომ გაურბიან პოეტები, პროზაიკოსები ან დრამატურგები „აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებასო".

პოეტად დაბადებული პოეტი ან პროზაიკოსი ვერ „გაექცევა" თავის საქმეს.

ვერც კრიტიკოსად დაბადებული კრიტიკოსი გაექცევა „აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას".

ჩვენ, უბრალოდ, როგორც მე მგონია, ნათელ ფერებს ვაბუნდოვანებთ. ნამდვილი კრიტიკოსები არსად არ გაქცეულან და არც შეიძლება გაქცეულიყვნენ, უბრალოდ, ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ვიღაც იყო და გაიქცა.

მხოლოდ ისინი გაიქცნენ, ვინც კრიტიკაში შემთხვევით იყო მოსული, მხოლოდ ისინი გაჩუმდნენ, ვისაც არც თავისი ხმაურით რამე გაუკეთებია. კრიტიკოსის ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული პროცესის წინა ხაზზეა — იქ, სადაც ახალი ნაწარმოებები იბადება, სადაც ახალი ტენდენციები ჩნდება. იქ დგომა კი არც თუ ადვილი საქმეა და როცა ვინმე პოზიციებს თმობს და „ზურგისკენ" მიიწევს, ჩვენ არ უნდა გავართულოთ დიაგნოზი — მებრძოლს მებრძოლი უნდა ვუწოდოთ და შედრეკილს — შედრეკილი. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს „შედრეკილ-შეშინებულნი" ადვილად როდი ნებდებიან რომ ნამდვილი სახელი უწოდონ. ისინი ყოველნაირად ცდილობენ შენიღბონ თავისი უნიათობა, უნაყოფობა, და ვერ ფარავენ შურსა და ბოღმას (იმათ მიმართ, ვინც წინა ხაზზე დარჩა, ვინც პატიოსნად და მტკიცედ ემსახურება კრიტიკის დიდ საქმეს), ქმნიან ქირქილის სალონებს და ომიდან გამოპარული შვეიკისა არ იყოს, ზოგჯერ ასეთ „ღვაწლმოსილ კრიტიკოსსაც" გამოუჩნდება ხოლმე რომანტიკოსი ქალბატონი, რომელიც მას გმირად თვლის.

3. დღევანდელი ქართული ლიტერატურა რომ „ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს" იძლევა, ეს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ ჩვენს ნიჭიერ კრიტიკოსებს, რომელთა შემოქმედების გარეშეც მე ვერ წარმომიდგენია დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრება, თანამედროვე ქართული ლიტერატურის საერთო სახე.

კრიტიკოსი, რომელიც მხოლოდ თაფლად იღვრება, კრიტიკოსი არაა. კრიტიკოსის პროფესია მაძიებელთა, მიღწეულით დაუკმაყოფილებელთა, უაღრესად პატიოსანთა და განათლებულთა პროფესიაა. ეს კარგად უნდა იცოდნენ კრიტიკოსებმაც და იმათაც, ვინც დითირამბებზეა შეყვარებული და ვისაც სულ მცირე შენიშვნაც კი აცოფებს.

ჩვენ, ყველანი ლიტერატურის პატრიოტები ვართ — ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ახალი გამარჯვებისათვის ვიბრძვით. მაგრამ როგორ შევუხამოთ საკუთარი სახელის პოპულარობისათვის, საკუთარი თავის კეთილდღეობისათვის გაფაციცებულთა მისწრაფება პატრიოტიზმის უწმინდეს იდეებს? როგორ შევახამოთ ლიტერატურული პატრიოტიზმი იმ მწერლის ამბიციებთან, რომელმაც ერთი საინტერესო ლექსების ციკლი, ერთი რომანი ან კრიტიკული გამოკვლევა დაწერა და პატარა გორაკი უკვე ევერესტი ჰგონია? როგორ შევახამოთ ეროვნული ლიტერატურის მასშტაბებთან — დროისა და სივრცის უსაზღვროებასთან იმ ტკბილეულის მოყვარული მწერლის ტიპი, რომელიც ახლავე, თავისი პატარა დროისა და პატარა სოფლის საზღვრებში მოითხოვს ჯილდოს? უიტმენი ამბობდა — დიდება თუ დღეს არ მოვიდა, ოთხას წელს დაველოდებიო. ცოტა ჩვენც ხომ არ მოგვეცადა?..

კრიტიკის ერთი დარგი თვითკრიტიკაა. დიდი ამერიკელი მწერალი ტომას ვულფი წერს, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი წამება თვითგასამართლების პროცესებზე განიცადა.

სხვების გასამართლებით გართულ ზოგიერთ ჩვენს მწერალს დრო აღარ რჩება თვითგასამართლებისათვის და ეს მოუცლელობა აშკარად იგრძნობა მათ ნაწერებში და მათი ცხოვრების წესებში.

გამიგრძელდა პასუხი. მოკლედ ამ კითხვაზე ასე ვუპასუხებდი — ჩვენ კარგი ლიტერატურა გვაქვს, მაგრამ უფრო დიდი ლიტერატურა გვინდა... ლიტერატურა — პროზის, კრიტიკის, დრამატურგიის, პოეზიის სტაბილური მაღალი დონე.

4. ამ კითხვაზე პასუხს ხუმრობით დავიწყებ. საჭიროდ მიმაჩნია ერთი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა რომელიმე ვარსკვლავზე, რათა დღევანდელი ლიტერატურული პროცესის განსჯისას გამორიცხული იყოს ნაცნობობა, ძმაკაცობა და, რაც მთავარია, — შიში — სხვადასხვა სახისა და ფერის შიში. გამორიცხული იყოს ის, რაც კრიტიკის დაავადებად იქცა.

აი, მაშინ ნახავთ, რა ღონეს არ იხმარენ იმ ვარსკვლავის ჩამოსაგდებად არწივის საბრძანისიდან გამოსტუმრებული წვრილი ფრინველები.

ჯერ კი, ვიდრე ჩემი მშვენიერი წინადადება არ განხორციელებულა, მიწიერი საშუალებებით უნდა ვიბრძოლოთ.

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები წარმართავენ, უფრო სწორად, უნდა წარმართავდნენ და მათგან უნდა მოვითხოვოთ სათანადო მუშაობა, მუშაობა და მუშაობა. ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების საქმიანობაში არ ჩანს გამოკვეთილი ლიტერატურული პოლიტიკა. საჟურნალო პოლიტიკას კი პირველ რიგში მისი კრიტიკული განყოფილება უნდა წარმართავდეს. მაგრამ კრიტიკას, ლიტერატურული ჟურნალის უმთავრესზე უმთავრეს მასალას, ჟურნალების ფურცლებზე მოკრძალებული ადგილი უჭირავს. კრიტიკას ზოგჯერ ნახევრად მეცნიერული ნარკვევებითა და გამოკვლევებით ცვლიან. კრიტიკის „შემცვლელის" როლში მოგვევლინა საინფორმაციო ბიულეტენების მასალაც — ნაწარმოების ბიბლიოგრაფიული გარჩევა, სარეკლამო ნარკვევები...

ჩვენს ჟურნალებში ვერ ვხვდებით ნამდვილ ლიტერატურულ პოლემიკას, როცა მოკამათენი ჭეშმარიტებისათვის იბრძვიან. ცხადია, პოლემიკას ვერ დავარქმევთ იმ ავადმყოფურ მოვლენას, როცა ჟურნალის ფურცლებზე სასპარეზოდ გამოჰყავთ „მეომარი", რომელიც შიშისა და სიბრაზისაგანაა დარეტიანებულ-დაბრმავებული და ყოველ ღონეს ხმარობს... საკუთარი უტაქტობის გასამჟღავნებლად.

პოლემიკას რედაქციის წარმმართველი, მაორგანიზებელი ხელი სჭირდება და არც ერთი პოლემიკა არ უნდა დარჩეს დაუსრულებელი და შეუჯამებელი, რადგანაც ჟურნალს ათასები კითხულობენ და მათ ნათელი პასუხი სჭირდებათ ცალკეულ ლიტერატურულ პრობლემებზე. აქ კი ისევ მუშაობასთან მივედით — დაუსვენარ, პატიოსან, მასშტაბურ სარედაქციო მუშაობასთან.



### გიორგი გულია

# ფუნჯები, მუშამბა, დუქნები...

### მოთხრობა

გიორგი ციციშვილს.

ეს გახლდათ მშვენიერი დუქანი, შუა ტფილისში, ერევნის მოედნის ახლოს, ქარვასლის გადასწვრივ, პუშკინის სკვერის პირდაპირ, ლამის სალდათის ბაზრის გვერდით. მშვენიერი დუქანი მშვენიერ სარდაფში, ახალი ლავაშის, ნივრის, მწვანე ხახვის, მდოგვისა და ძმრის მშვენიერი სურნელით გაჟღენთილი. ჰო, არ დამავიწყდეს: უბრალო კი არა, საუკეთესო ღვინის, კახური ღვინის საუცხოო სურნელით.

ვიწრო დუქანში დამრეცი ქვის კიბე ჩადიოდა. ჩასვლისას ურიგო არ იქნებოდა, წელში მოხრილიყავით, თორემ ზედა წირთხლს აარტყამდით თავს. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ჯოჯოხეთში კი არა, ნამდვილ ედემში ჩადიხარ.

სწორედ ამ სარდაფს ეწვია 1918 წლის ადრიანი გაზაფხულის ერთ მზიან დილით მეეტლისკარტუზიანი ხმელ-ხმელი კაცი, გვერდზეშესაკრავი შავი ხალათი და გაურკვეველი ფერის პიჯაკი ეცვა. ფერშლის ჩანთისნაირი ხის ყუთი მოჰქონდა, თან თვალით განმარტოებულ ადგილს ეძებდა.

მონახა სათავისო ადგილი და ხის ყუთიც ფეხებთან დაიდგა. მძიმედ სუნთქავდა. თვალები ამღვრეული ჰქონდა. წვერი უხეიროდ დაევარცხნა.

დილის ათი საათი იქნებოდა. საამდროოდ დუქნის მუდმივი სტუმრები, მეტწილად მეეტლეები, მეწვრილმანეები, ფეხსაცმლის მწმენდავები და მეკურტნეები თითქმის უკვე დანაყრებულიყვნენ და დუქანი სანახევროდ ცარიელი იყო.

მედუქნე სამსონ დაუშვილი დახლიდან გამოვიდა და წინსაფარზე ხელების წმენდით დაგვიანებულ მუშტართან მივიდა.

— ნიკო, — უთხრა მან, — შენა გკითხულობდნენ.

ნიკომ აკანკალებული ხელებით ჩამოივარცხნა წვერ-ულვაში.

— ვინა? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა მან.

— ყური მიგდე, — განაგრძობდა ჩაგოდრებული, ეშმაკივით გაბანჯგვლული სამსონი. — მგონი მალე გამდიდრდე.

ნიკომ არად ჩააგდო ეს სიტყვა „გამდიდრდე“, რომელსაც სამსონი, ეტყობოდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

— გესმის, რას გეუბნები? ჰეი, ნიკო!

— მესმის, — ძალისძალად ამოთქვა ნიკომ.

— მაშ გამიგონე: მოვიდნენ ის ძმები ზდანევიჩები, ის ახალგაზრდა მხატვარი... რა ჰქვია?... ლე... ლე... დანტიუ..., კიდევ ლადო გუდიაშვილი... კაკაბაძეც... შენ ყველას კარგად იცნობ...

ნიკო უსმენდა და არც უსმენდა. ჭირკუტანა სამსონი კი განაგრძობდა:

— ეტყობა, ძალზე დასჭირვებიათ შენი ნათხუპნი, და მზად არიან ბონები კი არ გადაგიხადონ — მილიონი და მილიარდი მანეთი, რომლითაც ძაღლის მწვანე საპონსაც კი ვერ იყიდი, — ნიკოლოზის ოქროს თუმნიანებს მოგცემენ...

— რად მინდა... თუმნიანები?

სამსონმა ხელი ხელს შემოჰკრა და მაგიდას მუცლით დააწვა:

— ნიკო, რაც ახირებული იყავ, იმადვე დარჩი. იმ ფულით ხომ ღვინის ბოთლებით სავსე თახჩას იყიდი. გესმის? მენშევიკების ბონები არ გეგონოს!

— რას ამბობ? — თქვა ნიკომ. — მთელს თახჩას?

და თითი გაიშვირა ბუფეტისაკენ. სამსონმა გაიცინა:

— მთელს არა, მაგრამ კარგა ბლომად კი დაითრევ.

ნიკოს ხველა აუტყდა.

— და კიდევ იცი, რა, — სამსონი მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა, და მერე განაგრძო, — ლადომ თქვა: ქართველი მხატვრები ფიროსმანაშვილისათვის ბლომად ფულს აგროვებენო.

— რათა, სამსონ?

— უნდათ დაგეხმარონ.

— მათხოვარი ვარ?

სამსონი ერთბაშად გასწორდა წელში, მჯიღი გულზე დაირტყა:

— ეგ რამ გაფიქრებინა, ნიკო! ეგეთი რამ გულში არ გაივლო! მაგრამ ფული ვის მოჭარბებია!

— ეგ კი მართალია.

სამსონმა გულხელი დაიკრიფა, თვალები მოჭუტა. ეს კაცი საამქვეყნო აღარ არისო, გაიფიქრა. ნიკო ფიროსმანაშვილზე გაიფიქრა, მოხეტიალე მხატვარზე, შემოკლებით ფიროსმანს რომ ეძახდნენ...

— ნიკო, საჭმელი მოგიტანო?

— დასალევიც, — სერიოზულად მიუგო ნიკომ.

— ნახატების ფასად?

— როგორც ყოველთვის.

— ძალიანაც კარგი, — უთხრა სამსონმა. — სანამ საჭმელს მოგიმზადებ, მანამდე შენ ხატე.

ნიკო ხმას არ იღებდა.

— ...ირემი დახატე. აგე იქ ჩამოვკიდებ... ან დათვი.

ნიკოს კრინტი არ დაუძრავს.

— რომელი ღვინო გინდა, ნიკო?

— წითელი, მწვადის მისატანებელი.

— კაი ცხვრის ხორცი მაქვს...

ნიკომ ყუთს თავი ახადა...

— დაიცა: სარქისას ისეთი სუკი აქვს გადანახული! სუკი კი არა, შოკოლადია. — სამსონი გაიჭყანა, პირი ლამის ყურებამდე მიუვიდა.

ნიკომ მაგიდაზე ამოალაგა ფუნჯები, ზეთის საღებავიანი ქილები, გათხუპნული ჩვარი და გაზინზლულ შუშაში ჩასხმული სკიპიდარი.

— სამსონ, მე ეპისკოპოსი არ ამიგებს წესს... კუკიაზე მეძებე...

— რას მიჰქარავ, ნიკო!

— იმ მხატვარ ძმებს კი გადაეცი: ნიკომ ყურადღებისათვის დიდი მადლობა მოგახსენათ-თქო...

ჩამქრალი თვალებით აჰხედა სამსონს. კაცი იფიქრებდა, შავ გუგებზე ბისტი გადაჰკვრიაო... და უცებ ისეთი ხველა აუტყდა, კინაღამ დაიხრჩო...

— ჭლექი ხომ არა მჭირს, სამსონ? ჰა?

— რას სულელობ, ნიკო!

— გამიგონე, სამსონ: მუშამბა გაქვს?

— ახლავე! — წამოიძახა სამსონმა. — თუმცა აი ამაზე დახატე. წინ გიფენია.

— რა დაგიხატო? — ფიროსმანი თვალით ზომავდა წითელყვითელყვავილებიან, უხეიროდ გაწმენდილ მუშამბას.

სამსონმა გაიღიმა.

— რაც შენს გულს გაუხარდება, ნიკო... გინდა ირემი დახატე. გინდა დათვი...

— შამფურზე აგებული მწვადი რომ დავხატო?

— მწვადიც შეიძლება.

— ერთი ბოთლი ღვინოც გვერდით მივუდგათ? ჰა? — ნიკო ძალზე ნელა და გაურკვევლად ლაპარაკობდა.

— ძალიანაც კარგი იქნება, ნიკო!

— იქვე ყანწიც. ჰა?

— მიდი, ნიკო! — სამსონი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა. გულში ამბობდა: „კუკიის სასაფლაო რამ გაახსენა... ბევრი მაინც დახატოს!“. იაზრა, რომ ბატონ მხატვრებს ტყუილად არ აინტერესებდათ ამ ბოგანოს ნათხუპნი.

სამსონმა გვერდით მდგარ მაგიდასაც გადააცალა მუშამბა და ნიკოს მისცა:

— აჰა კიდევ. ხატე შენთვის. ნუ აჩქარდები. მე და სარქისა ვალში არ დაგრჩებით.

მოკლეფეხება სამსონი ბუფეტისაკენ წავიდა. კახური ღვინის ბოთლი გახსნა და მხატვარს მიურბენინა.

ფიროსმანმა დაკვირვებით, შარიანად შეათვალიერა მუშამბა, ჯიბის დანით დაჭრა — არც ძალზე დიდრონებად, არც ძალზე პატარებად, — ჭიკარტებით მიამაგრა კედელზე: მარჯვნივ, მარცხნივ და თავზემოთ.

„ოჰო! — მხიარულად გაიფიქრა სამსონმა. — ნიკომ აიწყვიტა — ერთბაშად ნახევარ დუჟინს დახატავს“. და მოგება დაიანგარიშა გონებაში.

ამ დროს სარდაფში სამი ყმაწვილი კაცი ჩამოვიდა. ევროპული კოსტუმები ეცვათ, შლაპები ეხურათ და ხელჯოხები უჭირათ.

— ვაშა! — იყვირა ერთმა მოხდენილმა ახალგაზრდამ. — ჩემი მეგობარი ნიკო უკვე შესდგომია საქმეს.

ნიკომ ნატანჯი, ავადმყოფური ღიმილით გაუღიმა.

— გამარჯობა, ძმაო ლონგო, — უთხრა ნიკომ. — ისევა ყლაპავ?

ლონგო დაშნისმყლაპავი არტისტი გახლდათ. ცირკში გამოდიოდა, მუხრანის ხიდთან. ბევრჯერ უქეიფია ნიკოსთან ერთად ციციანოვის აღმართის ახლომახლო დუქნებში.

ლონგომ ნიკოს ბეჭებზე ხელი მოხვია, საღებავების სუნი რომ ეცა, გაიჭყანა, და სამსონს გასძახა, ნიკოს ჩემგან ღვინო მოართვითო. არტისტი დახლთან მდგარ მაგიდას მიუჯდა.

ნიკოს უკვე ორი ბოთლი ღვინო ედგა წინ. ცხოვრება შეიძლებოდა! თლილი ჭიქით ერთბაშად გადაჰკრა ღვინო. ხელების კანკალი შეუჩერდა. მცირე ხნის მერე ძველი ელვარებაც ჩაუდგა თვალებში.

სამსონი რაღაცას ეჩურჩულებოდა სარქისას, რომელსაც თავზე ვეება გუნდად აჯდა მზარეულის არცთუ მთლად ქათქათა ჩაჩი. სარქისა სასაცილოდ აცმაცუნებდა ყორანივით შავ ულვაშებს და სამსონს თვალს უკრავდა. ათი წუთიც და სამსონმა ნიკოს შამფურით სუკი მიართვა.

— მანდ დადე, — უხალისოდ უთხრა ნიკომ, თან მუშამბას ცისფერი საღებავი მოუსვა.

ლონგომ ჭიქა ასწია:

— შენი კარგა ყოფნისა იყოს, ნიკო!

ნიკომ გადაჰკრა, ულვაში მოიწმინდა და გაურკვევლად ჩაიქნია ხელი.

ლონგო მეგობრებს მიუბრუნდა:

— ჩემი მეგობარი ფიროსმანია, ნამდვილი მაწანწალა ბოგანო, დუქან-დუქან დადის და სურათებს ხატავს. ხატავს, რაზეც მოხვდება: ტილოზე, მუშამბაზე, მუყაოზე. ცირკში მივიწვიე. გინდათ, ერთი თეფში სუპისათვის ვეებერთელა სურათს დაგიხატავთ?—მერე მხატვარს მიუბრუნდა: — შენი გამარჯვებისა იყოს!

მაგრამ ნიკოს აღარ გაუგონია ლონგოს სიტყვები: იმას ფიქრობდა, ისეთი რა დავხატო, რომ ყველა მხატვარს შურით გული გაუსკდესო. თუმცა ჯანდაბას შური! სამსონის შექება ყველაზე კარგი საჩუქარია მხატვრისათვის: ბოთლების, დოქების, ჭიქებისა და შამფურების საქმე არ შეეშლება. მაშ ესეც ნატურმორტი: შამფურზე აგებული მწვადი, ერთი ბოთლი კახური ღვინო და კიდევ რამე...

— ნიკო! — გასძახებს სამსონი. — მწვადი გაცივდება. გესმის?

რატომღაც არ ესმის, ყრუ ხომ არ არის. მწვადი კი — რა მნიშვნელობა აქვს, გაცივდება თუ არა?.. და ნიკო მუშამბაზე უსვამს მწვანე ფერს — ბოთლის ფერს...

სადაცაა სამოციხა გახდება. მისი ხნის ხალხს შვილიშვილები და შვილთაშვილებიც ახვევიათ ხოლმე გარს. ნიკო კი ვინ არის? ბოგანო, ნამდვილი ბოგანო! მშობლები დაეხოცა, კახეთში განისვენებენ. დები დაეხოცა. კიდევ ვინღაა ამქვეყნად? ადამიანები? მაგრამ რა ესაქმებათ ადამიანებს უსახელო მხატვართან, რომელსაც ერთსა და იმავე გაზეთში ხან ადიდებენ, ხან ლანძღავენ? რიგიანი კუთხე-კუნჭულიც კი არა აქვს: ნამდვილი სორო — ერთი ტახტი და ცარიელი კედლები. დუქნები — აი მისი ადგილ-მამული... აქ კარგად ღებულობენ, აჭმევენ და ასმევენ თითქმის მუქთად — რაღაც ნახატების საფასურად, დასტა-დასტა რომ შეუძლია ხატოს. ტფილისელ მხატვართა წრეს კი ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნიკო უიმათოდაც გასძლებს, თავის სამყოფ მუშამბას და ფერებს კი იშოვნის!...

ხატავს ნიკო ერთი საათი, ორი საათი. მცირე ხნით შეისვენებს, წაიხემსებს, ღვინოს გადაჰკრავს და ისევ ხატავს. აი, ერთი სურათი უკვე მზადაა, ცოტათი შეშრება, და ნიკოც თავის გვარს მიაწერს — ლადომ და ზდანევიჩებმა სთხოვეს, გვარი მიაწერე ხოლმეო, კეთილი, მიაწერეო და მიაწერს, — იოლი საქმეა, ხელი ხომ არ მოსძვრება...

სამსონი კმაყოფილია.

— ახლა ამაზე ხატე, — ურჩევს და კედელზე მარცხნივ გაკრულ მუშამბაზე ადებს მსუქან თითს.

ლონგომ და მისმა მეგობრებმა კარგა ხანია დატოვეს იქაურობა, ნახვამდისო, სიტყვა მიუგდეს ბოგანო ძმაკაცს. ახალი მუშტრები მოდიან და მიდიან, სამსონი ემსახურება მათ. სარქისა ქურასთან ტრიალებს.

კარგა შეღამებულია, როცა ნიკო წამოდგება თავისი ადგილიდან, დღეს მთვრალი არ არის. ბევრს რომ მუშაობ — ბევრს ვერ დალევ.

საღებავებსა და ფუნჯებს, იმ ჭუჭყიან ჩვარს ყუთში აწყობს. ნელა მიემართება გასასვლელისაკენ.

— რამდენია? — ეკითხება სამსონი.

ნიკო მხრებს იჩეჩავს: სულერთი არ არის, რამდენია? იქნებ სამია, იქნებ — ოთხიც... არ დაუთვლია, რამდენი დახატა.

— ბარემ კარგად გაშრეს, — ხმაჩახლეჩილი ამბობს ნიკო. და ახველებს.

— ნიკო, — ეუბნება სამსონი, — ერთი ჭიქაც წასვლისა. — და ღვინოს უსხამს.

ნიკო თავს იქნევს:

—გამოსათხოვარი?...

— რას ამბობ, ნიკო? ეგ რამ გაფიქრებინა?

— რატომაც არა!

— ყური მიგდე, ნიკო, გინდა, ეტლს გამოვიძახებ?

— რათა?

— წაგიყვანოს. ჩემს ხარჯზე.

— სადა? კუკიაზე?

ნიკოს არც უფიქრია ხუმრობა. მართლა ამბობს ამას. სულ ერთიანად რაღაცნაირი ყვითელი ფერი ჩასდებია. ხორცი დაუყრია. ციება ხომ არა სჭირს?

სამსონი ტუქსავს:

— ვაიმე-ვაიმე! ნიკო! რაებს ამბობ? თანაც როდის?... როცა შენზე ამდენს წერენ და ასე გაქებენ.

— ვინა წერს და ვინ მაქებს, სამსონ?

აბა რა იცის სამსონმა, ვინა. და ძალზე უბრალოდ ბეჯითად ეუბნება:

— ყველა წერს, ყველა გაქებს!

— ტყუილს ამბობ, სამსონ.

— დალიე, ნიკო. როდის ყოფილა, წასვლისა არ დაგელიოს.

ნიკო მედუქნეს ახედავს:

— არა ყოფილა? შესაძლოა. დღეს კი არ დავლევ და ისე წავალ.

— ამ დღეებში შემოივლი?

— მაშ სად წავალ! — ნიკო კიბის სახელურს ჰკიდებს ხელს და ზემოთკენ იყურება: იქაა ტფილისის ზეცის ნაჭერი. ტფილისის სიმწვანის ნაჭერი... ერთხელ კიდევ მიმართავს მედუქნეს: — მაშ სად წავალ, სამსონ?

რამდენიმე საფეხურს აივლის. დაბლა იცქირება და ბუტბუტებს:

— თუ არ შემოვიარო, სამსონ, კუკიაზე მეძებე...

— კარგი, რა, ნიკო!

ხოლო ნიკო, თითქოს ჯიბრზე, სამსონის გასაბრაზებლად:

— მეძებე. თუ მიპოვნი, რაღა თქმა უნდა...

და მიდის.

სულ მიდის.

სად არ ეძებეს მერე! ეძებეს არამიანცის საავადმყოფოშიც, მიხაილოვის საავადმყოფოშიც. კუკიის სასაფლაოზეც ეძებეს. დიდ ხანს ეძებეს. და ვერ იპოვნეს.

ხოლო მრავალი წლის მერე მისი ფუნჯის ყოველი მონასმი უფრო ძვირი იქნება, ვიდრე ოქრო, რომელიც თვითონ ბოგანო მხატვარს თვალითაც არ უნახავს. თუნდაც შორიდან.

თარგმანი ციალა ჩხეიძისა



---





# ათი თეატრალური წელი

### გიორგი ხუხაშვილი

ასე მგონია ათი წელიწადი კი არა, ბევრად მეტი გავიდა რუსთავის თეატრის დაბადებიდან. თეატრის დაბადება! შექმნა ან დაარსება კი არა, სწორედ რომ დაბადება იმისა, რასაც აზრიანი და ლამაზი სიცოცხლე უწერია!

ამ ათი წლის თეატრს უკვე აქვს თავისი ისტორია.

ორი ათეული წლის წინ დაბადებულ ქალაქში თეატრი დაიბადა. ასეთი რამ იშვიათად ახსოვთ უფრო ხანდაზმულ ქალაქებსაც კი. შთაგონებული და გატაცებული ადამიანები თანამოაზრეების ერთსულოვან კოლექტივად შეაკავშირა სცენიური ხელოვნების თავგანწირულმა სიყვარულმა. გიგა ლორთქიფანიძის თაოსნობით ისინი სამუდამოდ შეკავშირდნენ ერთმანეთის პარტნიორებად. მძლავრი ნიჭიერების თაობა თავის გამოკვეთილ სახეს ეძიებდა ახალი თეატრის თაღებქვეშ.

რუსთავის თეატრის ბევრი იმ პირველ აქტიორთაგანნი მანამდისაც ცნობილი იყვნენ ჩვენთვის. იმათ იცოდნენ, რომ მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდებოდათ. ყოველივე ახალი ძნელად იწყება. იცოდნენ, რომ ერთიდაიმავე ავტობუსით უნდა ევლოთ ხშირად თბილისიდან რუსთავამდე და უკან. ეს ყოველთვის როდი იქნებოდა სასიამოვნო, მითუმეტეს ზამთრობით, გვიან დამთავრებული სპექტაკლების შემდეგ. იცოდნენ, რომ ერთმანეთი სიყვარულით უნდა გაეთბოთ ცუდად გამთბარი თეატრის დარბაზში რეპეტიციების დროს. ძმურად უნდა გაეყოთ ლუკმა-პურიც, გამარჯვების ამაყი სიხარულიც და დამარცხების სიმწარეც. ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ, მაგრამ არ შემკრთალან. რწმენას უმაგრებდათ ქართული თეატრის უმდიდრესი გამოცდილებანი. ისინი უწმინდესი პატივისცემით იხსენიებდნენ თეატრის მესვეურთა ძვირფას სახელებს და ესწრაფოდნენ მართალი, პოეტური სპექტაკლების შექმნას.

მათ პოეტზე შექმნილი სპექტაკლით გახსნეს ფარდა. ედმონდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკით“ დაწყებული თეატრი სიმბოლურად ამბობდა, რომ მუდამ მებრძოლი, მართალი და პოეტური თეატრი იქნებოდა. ავანსცენისკენ ფრონტალურად დაძრული გასკონელების ყიჟინით ისინი ბოროტებასთან შესაჭიდებლად ემზადებოდნენ ჩვენი დროის მაღალი ჰუმანიზმის სახელით. სცენაზე პოეტი კვდებოდა, მაგრამ სიმართლე ზეიმობდა. სიმახინჯეს ამოფარებული სილამაზე და სილამაზეს ამოფარებული სიმახინჯე მწვავედ კამათობდა ულამაზეს როქსანას სიყვარულში. იმ დღის შემდეგ თეატრის მოყვარულებს არც თბილისიდან დაზარებიათ რუსთავში ჩასვლა.

ეს უკვე ნამდვილი თეატრი იყო. ის არ ითხოვდა შეღავათებს და პატიებას. ის მხოლოდ მხარდაჭერას და გულწრფელ თანაგრძნობას ელოდა.

გაზაფხულს ერთი მერცხალი ვერ მოიყვანსო, ნათქვამია. ვერც ერთი სპექტაკლი დააფუძნებს თეატრს. გაივლის ორიოდე წელიწადი და უკვე ივსება ახალი თეატრის აფიშა. უკვე ამ თეატრზე კამათობენ, ლაპარაკობენ მის რეპეტიციებზე, მოელიან ახალ სპექტაკლებს. ეს იყო მღელვარე მოლოდინი სიახლესთან შესახვედრად.

არაფერი პერიფერიული და შემთხვევითი! ისინი ირჩევდნენ გააზრებულად და პრინციპულად. კლასიკაც და თანამედროვეობაც ერთნაირ საზომებს გულისხმობდა. მათ სძულდათ კომპრომისი და უყვარდათ სითამამე. შემთხვევით არ აურჩევიათ არც ვადიმ კოროსტილევის „ასი წლის შემდეგ“, არც ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“, არც მაქსიმ გორკის გენიალური „ფსკერზე“. შეუფარავი სიმართლე ხიბლავდათ ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდშიც“ და ოტია იოსელიანის „მოჯადოებულ მწვერვალშიც“. სიმართლის, სამართლიანობისა და პატიოსნების სახელით თამაშობდნენ თამაზ ჭილაძის დრამას „სურათები საოჯახო ალბომიდან“. მათ სჯეროდათ, რომ იმ სცენაზე, სადაც გასკონელი ჯარისკაცები ამაყად დაიხოცნენ, სადაც ბნელ ძალებს დაშნით ხელში სიკვდილის აგონიაშიც ებრძოდა შუასაუკუნეების პოეტი დე ბერჟერაკი, სადაც „მშვენიერი სიკვდილით“ მოკვდნენ ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული დეკაბრისტები, ყველაზე საძულველი რამ იქნებოდა სიყალბე.

სიმართლე და პოეზია—ეს ორი მშვენიერება ენთო რუსთავის თეატრის ჭერქვეშ. ყველაფერი ერთნაირად არ გამოუდიოდათ. მაგრამ შეუპოვრობით, მთელი ენერგიის დაძაბვით ინარჩუნებდნენ მიღწეულ დონეს, გემოვნებას, სტილს. დათმობაზე წასვლა ნიშნავდა ღალატს. ისინი იძენდნენ მაყურებლებს და ძნელად კარგავდნენ. არ ეშვებოდნენ სტიქიური გემოვნების დონეზე.

მძაფრ პოლემიკაში იბადებოდა სპექტაკლები. ბოლოს ყველაფერს ხალხი აჯამებდა. დღეს ისინი, ვინც რუსთავის თეატრი დაიწყო, სახელგანთქმული მსახიობები არიან. საგრძნობმა ნაწილმა დასტოვა რუსთავის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა, მაგრამ რუსთავის თეატრი თეატრად დარჩა. მელვინეთუხუცესის სირანოს, მეფე ნიკოლოზ პირველს, ლამანჩელსა და ფიროსმანს თამამად ამოუდგნენ გვერდით ირაკლი უჩანეიშვილის გორინი და გიზო სიხარულიძის სპერანსკი, თენგიზ მაისურაძის, ლეო ანთაძის, გივი ბერიკაშვილის კომედიური ნიღბები, გურანდა გაბუნიას, თამარ სხირტლაძის, მანანა მაჩაბლის, ლეილა შოთაძის, ია ხობუას და მანანა გზირიშვილის განსახიერებული სახეები. გორკის უკვდავი „ფსკერზე“, რომელიც თეატრმა გიგა ლორთქიფანიძისა და ნუგზარ გაჩავას რეჟისორობით დადგა, საბოლოოდ აქარწყლებდა ამ პიესის ქართულ სცენაზე დაუძლევლობის ეჭვებს. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს თეატრის გასტროლები მოსკოვში, ის საღამოც, როცა სამხატვრო თეატრის ფილიალში პირველად თამაშობდნენ რუსთაველები გორკის პიესას. გორკის პიესებზე დაოსტატებული, ბევრის მნახველი მოსკოველი თეატრალები ცოტა არ იყოს დასაწყისში სკეპტიკურად შეჰყურებდნენ საგასტროლო წარმოდგენას. იქნებ გაუმართლებელ სითამამედაც კი მიაჩნდათ იმ სცენაზე თამაში გორკის პიესისა უცნობი თეატრის მსახიობთაგან, სადაც უდიდესი ოსტატები რუსული სცენისა თამაშობდნენ სატინს, ბარონს, აქტიორს, ბუბნოვს. მოხდა მოულოდნელი რამ, პირველივე სცენებიდან შეიცვალა საპირისპიროდ დარბაზის განწყობილება. და მოსკოველებმა სამუდამოდ დაიმახსოვრეს მელვინეთუხუცესის სატინი, უჩანეიშვილის ბარონი, მგალობლიშვილის აქტიორი, მაისურაძის ბუბნოვი, ანთაძის ლუკა და მათი პარტნიორები. დაიმახსოვრეს სპექტაკლი, სადაც კვლავ „ამაყად ჟღერდა ადამიანი“. სტუმარი აღარ მოითხოვდა მასპინძლისგან დიდსულოვნებას. ხელოვნებამ შუამავლის გარეშე თქვა თავისი სათქმელი.

იზრდებოდა თეატრის სახელი, მრავლდებოდა მისი თაყვანისმცემლებისა და მომხრეების რიცხვი. ტრადიციად იქცა ყოველი ახალი სპექტაკლის ჩამოტანა თბილისში, გატანა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. თეატრს შემოუერთდნენ სცენის სახელგანთქმული ოსტატები. მელვინეთუხუცესის, ლეო ფილფანის, თენგიზ არჩვაძის თაობასთან ერთსულოვნებაში მეორე ახალგაზრდობა დაიბრუნა დიდმა არტისტმა აკაკი ვასაძემ. „ბანკბანით“ და „მეფე ლირით“ კიდევ უფრო გაფართოვდა თეატრის მასშტაბები და თვალსაწიერი. აქ დაოსტატდნენ სოსო გოგიჩაიშვილი, მალხაზ გორგილაძე, კოტე თოლორაია, ოთარ სეთურიძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ გაგნიძე... თავმდაბალი შრომითა და პროფესიული ერთგულებით მათ გვერდში ედგათ თეატრში მოსული ნიჭიერი ახალგაზრდობა. ამ სპექტაკლებში შთაგონებით, პროფესიული ოსტატობით ბრწყინავდა თეიმურაზ სუმბათაშვილის, მამია მალაზონიას, გიორგი გუნიას, აივენგო ჭელიძის მხატვრობა. ეს იყო ზუსტი და მშვენიერი სცენოგრაფია. თეატრს ჰქონდა თავისი ტექნიკური სირთულეები, სცენისა თუ კულისების, თვით მაყურებელთა დარბაზის აკუსტიკური თუ სივრცობრივი სიძნელენი. ყველაფერს ძლევდა ერთსულოვნება და გატაცება.

ყოველი თეატრისთვის სამძიმოა ერთი მსახიობის წასვლაც კი. რაღა უნდა იყოს მაშინ, როცა რამდენიმე ნიჭიერი შემოქმედი ერთბაშად დატოვებს მის სცენას. ეს იყო ყველაზე კრიტიკული მომენტი რუსთავის თეატრის ათწლიან ცხოვრებაში. რუსთავის თეატრმა გაუძლო ამ სირთულეს. თეატრი ცოცხლობდა, ცოცხლობდა აქ დანერგილი ტრადიციები ძიებისა, ხელოსნურობასთან შეურიგებლობისა, გაუტეხელი, ფიცნაჭამი ძმობისა.

ანზორ ქუთათელაძის თაოსნობით რუსთავის თეატრი კვლავ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. დანაკლისის შევსება ადვილი როდი იყო. ახალგაზრდობას უნდა ეტვირთა მძიმე ტვირთი. რეჟისორ თამაზ მესხთან ერთად გრძელდებოდა ეს ძიებები. მთავარი იყო ძირს არ დაშვებულიყვნენ. ახლა სხვებს უნდა ევლოთ ავტობუსით თბილისიდან რუსთავში და გვიან ღამით უკან. კიდევ უფრო შემომტკიცებულიყვნენ თეატრის გარშემო, გულთან მიეტანათ მისი სიხარული და ტკივილი. მათ არანაკლები თავგანწირვა მართებდათ, ვიდრე წინამორბედებს.

წარსულის სახელი მარტო სასიამაყო რეკლამა კი არა, ტვირთიც იყო. ეს ტვირთი უნდა ეზიდათ მხნედ და შთაგონებით.

მათ ეს შესძლეს.

როცა შარშანწინ მათ თბილისში გასტროლები გამართეს, ჩვენმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ირწმუნა თეატრის სიცოცხლე. ძიებით, იმედებით მიდიოდნენ მომავალი პრემიერების განათებული სიხარულისკენ. „რას იტყვის ხალხი“, „რევიზორი“, „ცილინდრი“, „მგლები“ კვლავ ადასტურებდნენ ამ თეატრის სიცოცხლისუნარიანობას. გოგოლის, რომენ როლანის, ედუარდო დე ფილიპოს გვერდით ისინი რეპერტუარს ქმნიდნენ ქართული დრამატურგიისა და პროზის მნიშვნელოვანი ნიმუშებით.

იქ, სადაც გულმხურვალედ ეძიებენ, გადაუჭრელი პრობლემებიც არსებობს. სცადეს „მთავარის მოტაცების“ დადგმაც. დიდ რომანს შეეჭიდნენ, დიდი ძალა შეალიეს, ყველაფერი ისე არ გამოუვიდათ, როგორც ჰქონდათ ჩაფიქრებული. მარცხი თუ ჩავარდნა პირიქით, ამძაფრებდა მათ ენერგიას. ახალი სიცოცხლე მიანიჭეს რევაზ თაბუკაშვილის ოცი წლის უკან დაწერილ პიესას. როლანის „მგლებში“ ისევ ენთო გასკონელი ჯარისკაცების ურიამულიდან წამოსული ყიჟინა. ისინი რევოლუციის სახელს ქომაგობდნენ, შებღალვისაგან იფარავდნენ უწმინდეს იდეალებს. თეატრი ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ჩვენში ბოლო ოცი წელიწადია არ ყოფილა თეატრი, უნიჭიერესი მწერლის ნოდარ დუმბაძის პროზას არ დაწაფებოდეს. რუსთავის თეატრმა პირველთაგანმა გაასცენიურა მისი „თეთრი ბაირაღები“ („საბრალდებო დასკვნა“). დამდგმელი ისევ გიგა ლორთქიფანიძე იყო. თეატრმა ადამიანთა რთული ურთიერთობანი გამოაჩინა. ტანჯვის, მძაფრი ტკივილების ატმოსფეროში იმედები და იუმორი გამოაშუქებდა ხოლმე. ეს არ იყო იოლი ოპტიმიზმისა და თვალისმომჭრელი დეტექტივის ეფექტური წარმატება. თეატრი ცხოვრების სიღრმეებისკენ მიისწრაფოდა, მწერალთან ერთად წყვეტდა რთულ ზნეობრივ პრობლემებს, ეძებდა, კამათობდა, აანალიზებდა ადამიანთა ურთიერთობის ფსიქოლოგიურ წიაღებს.

ახლა მეორე წელია რკინიგზელთა სახლში მართავენ თავიანთ წარმოდგენებს. მაგრამ ისინი მაინც რუსთავის თეატრს წარმოადგენენ ყველგან. ამ ძვირფას სახელს უფრთხილდებიან და პატრონობენ. ეძებენ კიდეც ისეთ პიესებს, მათი ქალაქის ცხოვრებას რომ აიტანს სცენაზე, აჩვენებს ახალი ქალაქის მშრომელ ადამიანებს, მათს ურთიერთობებს, კონფლიქტებს, ძნელად მოპოვებულ გამარჯვებებს. ეღრმავდებიან საწარმოო ცხოვრებას, ქალაქის დაბადების ამბავს, შრომის სიმართლესა და პოეზიას. ამიტომ დადგეს „ჰორიზონტს იქით“ და „შენდებოდა ქალაქი“. ახალგაზრდები კვლავ შემოემატნენ. ბადრი კაკაბაძის, ნანა ქუთათელაძის, რევაზ ჩხიკვიშვილის თაობა უკვე თამაშობს გამოცდილი ოსტატების მხარდამხარ. დადგეს „ღამის ამბავი“ და ლაშა თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. მაყურებელი გაუმრავლდა ამ სპექტაკლებს.

ასე მოვიდა თეატრი თავისი ცხოვრების ათი წლის იუბილემდე. ისინი, ამ თეატრის დამაარსებლებიც, იმ პირველთაგან დარჩენილებიც და ახალბედებიც თავიანთ თაყვანისმცემლებთან, მაყურებლებთან ერთად ხვდებიან ამ პირველ ზეიმით გადახდილ დაბადების დღეს.

ბედნიერად დაწყებული თეატრი ათი წლის მატიანის პირველ კარს ხურავს, მეორე ათწლეულისას აღებს რწმენითა და იმედით. მომავლის გზაზე გამარჯვებებიც და დამარცხებებიც შველიან გონივრულ მაძიებლებს. მე ამ წუთს თვალნათლივ ვხედავ მათ, ამ თეატრის შემქმნელებს, რეჟისორებს, აქტიორებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს. ვხედავ მათი მაყურებლების სახეებზე ღიმილსა და ცრემლებს.

მეხსიერება ძვირფასი სალაროა და მხოლოდ იმას ინახავს, რაც ხალასია ძვირფასი ლითონივით, სიყალბე და ორგულობა არ გარევია. თეატრის მეხსიერებაც ასე წმინდა მეხსიერებაა. მის მშვენიერ ნათელში ვხედავ ათი წლის დახურული კარის მიღმა რუსთავის თეატრის იმედიან მომავალს...



## მეგობრობის მერიდიანები

# კეთილი და

იმ წელს ყაზანში, ცხრაასსამოცდაექვსის თებერვლის თვეში, თათარი ხალხი თავისი გმირი-პოეტის მუსა ჯალილის დაბადების მესამოცე წლისთავს ზეიმობდა. მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მწერალთა შორის ერთი ქალი იყო — მოლდაველ მწერლებს თავიანთ წარმომადგენლად პოეტი — აგნესა როშკა გამოეგზავნათ. აგნესას თან ჩამოეტანა მუსა ჯალილისადმი მიძღვნილი და ცალკე წიგნად გამოცემული თავისი პოემა — „შენი სიმღერა“.

შემდეგ, თბილისში დაბრუნებულმა, კიშინოვიდან მივიღე აგნესა როშკას ნობათი — მის მშობლიურ ენაზე გამოცემული ახალი ლექსების კრებული — „მოზაიკა“. პაკეტშივე იდო რუსული პწკარედები წიგნში შესული ლექსების ციკლისა — „ლექსები საქართველოზე“. მომხიბლეს შავი ზღვისა თუ რიონის ნაპირებზე დაწერილმა მშვენიერმა ლექსებმა.

ასე ვიპოვე, ჩემი ხალხის მეგობარი, აგნესა როშკა, ამ ათიოდე წლის წინათ... შემდეგ პოეტი თავის ქმარშვილთან ერთად თბილისს ესტუმრა, დაათვალიერა საქართველო და ქართული სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ საახალწლო ნომრიდან ყველა ქართველ ოჯახს ლექსით — „ქართული სახლი“ მიულოცა ახალი წელი.

საქართველოში წრფელი და მართალი გულით მოვიდა ნიჭიერი და თვითმყოფადი მოლდაველი პოეტი, რომლის დღემდე გამოცემულ ყოველ წიგნში შეხვდებით ქართულ თემაზე დაწერილ ლექსებს, წერილებს, ნარკვევებს. აგნესა როშკამ თავის მეუღლესთან, პოეტ ვლადიმერ რუსნაკთან ერთად თარგმნა, ხოლო 1971 წელს გამომცემლობა „კარტია მოლდოვენიასკემ“ ცალკე წიგნად გამოსცა, ქართული საბჭოთა პოეზიის მცირე ანთოლოგია. წიგნის გარეკანზე, ქართული პეიზაჟების ფონზე, გამოსახულია ქართველი ქალი, რომელსაც გაშლილ მარჯვენაში მზე უჭირავს. ამ გრავიურის თავზე ქართულად იკითხება „ქართული ლირიკიდან“. წიგნი იხსნება აგნესა როშკას ვრცელი შესავალი წერილით, რომელშიც დიდი სიყვარულითაა მიმოხილული ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზა. ამ კრებულით მოლდაველმა მკითხველმა პირველად გაიცნო ქართული პოეზია. კრებულმა დიდი აღიარება მოიპოვა მოლდაველ მკითხველთა და ლიტერატორთა შორის.

აგნესა როშკა მოლდავეთში ქართული პოეზიის ერთ-ერთ აქტიურ და ნაყოფიერ პოპულარიზატორად ითვლება, მას არა ერთი ქართველი პოეტი უთარგმნია მოლდავურ ენაზე, რომელთა ნაწარმოებებსაც იგი აქვეყნებს პერიოდული პრესის ფურცლებზე თუ კრებულებში. კითხულობს მათ ლექსებს მოლდავეთის რადიოთი და ტელევიზიით.

ახლახან პოეტს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. მოლდავეთის მწერალთა კავშირმა საქართველოდან მეც მიმიწვია პოეტის საიუბილეო საღამოზე.

დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობ აგნესა როშკას ლექსის ჩემეულ თარგმანს.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

### საქართველოს

შენ ხარ ნიჟარა
ზღვის ზვირთცემით გადმოსროლილი,
მკერდმოჭედილი უთვალავი სადაფის თვლებით...
შენი მაღალი, ლურჯი ზეცა რეკავს ბროლივით,
შენს ქერს ბურჯებად შესდგომიან მაღალი მთები.

ვით ზღვის ტალღებზე,
წამოქოჩრილ მთებზე მოცურავს
მზე —
ეს ვეება ჩიტბატონა წითელფრთიანი
გაჩენისთანვე ის პირდაპირ აქ თუ მოსულა
ასე ბრდღვიალა, ასე სავსე, ასე მთლიანი.

მთისხელა ტალღა ეხეთქება კლდეებს ჯახანით,
მტვრადქცეულს უკან დაბრუნება ეუცხოება...
ამ ტალღებმა თუ დაარწიეს შოთას აკვანი,
ამ ტალღებმა თუ შთააგონეს შოთას პოემა.

ველთა სივრცეებს მწვერვალების [illegible],
მწვერვალს მწვანეზე წამოწოლა მონატრებია,
მთათა კალთებზე წვიმა სწუწავს ტყეებს [illegible],
ველზე ვარდები მზით პირსავსე თასით თვრებიან.

შენი ველები გვირგვინების გვირგვინს მიწნავენ,
დამწვი! დამდაგე! — შენი და ვარ და ნათესავი!..
თავზე დღის ღიმი ახურია,
ტანზე — სიმწვანე,
მზე ჩაუსვლელი საქართველო მოდის მზესავით!

# გასტროლების ექო

### ინგლისური პრესა რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე

„შექსპირის ხელოვნება თავისებურად გააზრებული წარმოგვიდგინა საქართველოს ეროვნულმა თეატრმა, რომელიც ამ ქვეყნის დიდი პოეტის, შოთა რუსთაველის სახელს ატარებს. შექსპირი და რუსთაველი ის პოეტებია, რომლებსაც ქართველები ყველაზე მეტად აღიარებენ.

ახალი ქართული თეატრი დაარსდა თბილისში გიორგი ერისთავის მიერ. ქართველი მწერლის ოცნება იყო თეატრის რეპერტუარში ყოფილიყო შექსპირის პიესებიც, რომლებსაც მაშინდელი ქართული საზოგადოებრიობა რუსული და ფრანგული თარგმანებით იცნობდა.

შექსპირის ნაწარმოებების საქართველოში დადგმის ახალი ხანა დაიწყო ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან, ეს ხანა უკავშირდება სტანისლავსკის მოწაფის — რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის სახელს.

რიჩარდ III იყო განსვენებული ვასო გოძიაშვილის, მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობის უსაყვარლესი როლი. გოძიაშვილი მეფე ლირსაც თამაშობდა და შექსპირის სხვა პერსონაჟებსაც. ქართულ სცენაზე შექსპირის კლასიკის ადრეული როლებიდან აღსანიშნავია: უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი, სერგო ზაქარიაძის მეფე ლირი, და შესანიშნავი დუეტი აკაკი ვასაძისა და აკაკი ხორავასი (იაგო და ოტელო).

მე ვიხსენებ ამ სახელებს, რარიგად უცნობნიც არ უნდა იყვნენ ისინი ბრიტანელი მკითხველისათვის, რათა ცხადი შეიქნეს, თუ რა მყარია ის საფუძველი, რეჟისორი რობერტ სტურუა რომ დაეყრდნო „რიჩარდ III“-ზე მუშაობისას. მას ხელთ ჰქონდა ზ. კიკნაძის მიერ თეატრის დაკვეთით შესრულებული პროზაული თარგმანი.

სცენოგრაფია და ჩაცმულობა თითქოს რაღაც ჩვეულებრივზე უფრო დიდისთვის შეგვამზადებს. ერთბაშად აღმოვჩნდებით უზარმაზარი დაკონკილი კარვის შიგნით, რომელშიც დგას ხის ტახტი მეფისთვის და დახურული ოთხთვალა, ნაცვლად დიდებულთა სამგზავრო კარეტისა. კოსტუმები გვახსენებს ნაპოლეონის ხანას, ეს განსაკუთრებით ითქმის რამაზ ჩხიკვაძის ჩაცმულობაზე.

ედინბურგის ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლის პრესაში გაშუქებისა და რაუნდ ჰაუზის პრემიერის შემდეგ ძნელია რაიმე დამატებითი თქვა რამაზ ჩხიკვაძეზე.

მაგრამ ისე მაინც არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსთაველის თეატრი მთლიანად ერთ მსახიობზე იყოს დამოკიდებული. აქ არიან ბევრი სხვანიც, რომელნიც არანაკლებ ყურადღებას იმსახურებენ. მაგალითად ავთო მახარაძე (ედუარდ IV), როცა იგი ნაადრევად დაბერებული, მიხრწნილი, ტორტმანით შემოდის სცენაზე.

**დევიდ ლენგი,**
„ტაიმსი“.

„რუსთაველის სახელობის თეატრის დასი ხვდება ლონდონელებს. მაგრამ თეატრი აქ მხოლოდ თორმეტ წარმოდგენას მართავს და მათ, ვინც ვერ მოახერხეს ენახათ „რიჩარდ III“ ედინბურგში, უნდა დაეშურონ, ნახონ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი თეატრალური დასის მიერ განხორციელებული ეს სპექტაკლი“.

„წარმოდგენა ახლა უფრო კარგია, ვიდრე ედინბურგის ფესტივალზე იყო, იგი გაუმჯობესებულია“.

„წამყვანი სპექტაკლისა, ჭეშმარიტად არის დიდი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, ვისი გლოსტერიც — ნაპოლეონისებური ურჩხული, ჯერ ტორტმანით რომ გამოდის სიბნელიდან, რკინის ჯოხს დაყრდნობილი, ბოლოს კი, არეული, შეშლილივით ეხვევა ბრიტანეთის სისხლით გაჟღენთილ რუკაში, ქმნის დაუვიწყარ სახეს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ავისმომასწავებელი სიმშვიდე თუ ძრწოლის მომგვრელი აფორიაქება“.

**ირვინგ უორლდი,**
„ტაიმსი“.

„ამისი მსგავსი არაფერი ყოფილა ჩვენს თეატრში (და ვგონებ სხვაგანაც) და მადლიერნი უნდა ვიყოთ ქართველებისა, რომელთაც ასე მოგვხიბლეს და ასეთი სიამოვნება მოგვანიჭეს“.

**შერიდან მორლი,**
„პანჩი“.

„რამაზ ჩხიკვაძემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე შარშან ედინბურგში და ეს შთაბეჭდილება ახლა კიდევ უფრო გაგვიძლიერდა, — იგი უბადლო შემსრულებელია, ჩასკვნილი, მოკლედ შეკრეჭილი თმით, თხელი, მკაცრი პირით, თვალები, გადმოცვენაზე რომ აქვს... იგი ქმნის საპყარ, გადარეულ, ნაპოლეონისებურ სახეს, გონებას რომ კარგავს ძალაუფლებისთვის“.

„რეჟისორმა რ. სტურუამ, რუსთაველის სახელობის თეატრის მთელმა დასმა (მათთან ერთად კომპოზიტორმა გია ყანჩელმა), გვაჩვენეს, რომ ქართველებს შეუძლიათ ბევრი რამ ახალი გვითხრან შექსპირის ამ ნაწარმოებზე“.

**მაიკლ ბილინგტონი,**
„გარდიანი“.

„ნაპოლეონისებურ შინელში გამოწყობილი, დიდი თავითა და გადმოკარკლული თვალებით, იგი საშიში ტაკიმასხარაა, რომელსაც შეუძლია მყისვე, თუკი დასჭირდა, ჩამოიცვას სევდისა თუ სინანულის და უმანკოების ნიღაბი. არც ერთ მსახიობს არ შეუსრულებია რიჩარდი ასე კარგად“.

„სპექტაკლში მონაწილეთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ავთო მახარაძის მასხარა და ორი დედოფალი — სალომე ყანჩელისა და მედეა ჩახავასი“.

**ჯონ ბარბერი,**
„დეილი ტელეგრაფი“.

„მე ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ჩხიკვაძე მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობია. მისი რიჩარდი (ეს სპექტაკლი ადრე ედინბურგშიც ვნახე) საოცარი სახეა უხეში ძალისა, მაკიაველისებური მოხერხებულობისა და მოზეიმე ცბიერებისა“.

„მასზე (რამაზ ჩხიკვაძეზე) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ედინბურგელმა მაყურებელმა. „იქაური მაყურებლის რეაქცია ისეთი ზუსტი იყო, — თქვა მან, — ისე კარგად ესმოდათ ყველაფერი, ისე კარგად აღიქვამდნენ ყოველივეს“.

„ითამაშია თუ არა მას შექსპირის სხვა პიესებში? დიახ, „მეფე ლირში“, „ზაფხულის ღამის სიზმარში“. ჩემი ვარაუდით მას უნდა ეთამაშა ოტელოც, მაგრამ არა, მოსკოვში უნახავს ლოურენს ოლივიე და მიაჩნია, რომ მეტს ველარაფერს დაუმატებს ოლივიეს მიერ შექმნილ ოტელოს სრულყოფილ სახეს“.

**ჯონ ბარბერი,**
„ტაიმსი“.

# ახალი ნაპირებისაკენ

**გასულ კვირას ცენტრალური ტელევიზიით დამთავრდა ჩვენება შვიდსერიიანი ტელეფილმისა „ნაპირები“ (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები). ჩვენმა კორესპონდენტმა მიმართა მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს, რომან „დათა თუთაშხიას“ და ფილმის სცენარის ავტორს, და სთხოვა ეპასუხა ორ შეკითხვაზე:**

**— შვიდი საღამო ტელევიზორის ეკრანთან, სადაც ცოცხლობენ, მოქმედებენ, იბრძვიან და იტანჯებიან თქვენ მიერ შექმნილი გმირები, სადაც ხელახლა იბადება თქვენი რომანი... რას განიცდით ამ დროს — კმაყოფილებას, გულის გატეხას, შიშს?**

— პროზაიკოსის პასუხი, როგორც ჩანს, უნდა შედგებოდეს ორი რამისაგან: რა სარგებლობა მოაქვს სცენარზე მუშაობას წიგნისათვის, რომლის მიხედვითაც სცენარი იქმნება, და რა ზიანს აყენებს წიგნს ფილმი.

სარგებლობის შესახებ: სცენარის წერა რომ დავიწყე, რომანი ჯერ დამთავრებული არა მქონდა, და ეს ძალზე სასარგებლო გამოდგა წიგნისათვის. ბევრი რამ უფრო დინამიურად, უფრო ზუსტად და ცხოვლად დავინახე. თუ როდისმე მომიხდება სცენარის დაწერა უკვე გამოცემული ნაწარმოების მიხედვით და მუშაობის პროცესი რაიმე ახალს მიკარნახებს, აუცილებლად შევიტან წიგნში შესწორებებს. და კიდევ. ფილმი თუ კარგი გამოვიდა, ხელს უწყობს ნაწარმოების პოპულარიზაციას, მის სხვა ენებზე თარგმნას.

ზიანის შესახებ: თუ რომანის მიხედვით დადგმულმა ფილმმა ვერ ივარგა, წიგნს ისიც კი აღარ წაიკითხავს, ვინც უკვე იყიდა. ცუდი ფილმი წიგნისთვის „ყელის გამოჭრის“ საუკეთესო საშუალებაა. კარგი პროზის მიხედვით შექმნილ კარგ ფილმს (ასეც ხომ ხდება ხოლმე) ავტორისათვის მოაქვს გამარჯვების სიხარული, მაგრამ ამავე დროს გულის გატეხაც, ვინაიდან კინო თავისი სპეციფიკით ვერ შეინარჩუნებს პროზის მთელს პრობლემატიკას. და ეს პრაქტიკითაა დამტკიცებული.

გულის გატეხის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პროზის ავტორი ფილმს მიიღებს როგორც ორიგინალურ ნაწარმოებს, და არა მეორად ხელოვნებას. პირადად მე ასეთი დამოკიდებულება მაქვს ფილმთან „ნაპირები“ — ეს გახლავთ დიდი, თუ გნებავთ, პირველწყარო, რომლის შემქმნელია დიდი კოლექტივი შემოქმედებითი მუშაკებისა, და მათ შორის მეც — სცენარის ავტორი.

**— რომანსა და ფილმზე მუშაობამ ბევრი წელიწადი წაგართვათ. რას უნდა ელოდოს მკითხველი ახლა?**

— დიდ წიგნსა ვწერ. კარგია თუ ცუდი — არ ვიცი. რაზე ვწერ — ვიცი. ჯერ კიდევ გილგამეშის შესახებ შექმნილი შუმერული ეპოსის დროიდან ლიტერატურისათვის ცნობილი გახლდათ პრობლემა: სიკეთე დაცალკევებულია, დაშორიშორებულია, ბოროტება კი — მუშტივით შეკრულია. მათი შებრძოლებისას სიკეთეს უკან დახევა უხდებოდა. მაგრამ, კრიტიკულ მომენტებში, მასა ყოველთვის შობდა გარკვეული იდეის მატარებელ ადამიანს, რომელსაც შესწევდა უნარი თავის ირგვლივ მოეგროვებინა ბოროტებასთან დასაპირისპირებელი ძალები. ეს საშუალებას აძლევს საზოგადოებას გამუდმებით განვითარდეს, წინ წავიდეს.

ნაწარმოების ისტორიული ფონი გახლავთ წლები, როცა უცხოელმა დამპყრობლებმა შესძლეს აღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდება. ეს პრობლემა კარგახანია მაინტერესებდა.

...სამწუხაროდ, წიგნს ჯერჯერობით არა აქვს სახელწოდება. მისი პირველი ფრაგმენტი ბათუმში, ჟურნალ „ჭოროხში“ გამოქვეყნდა.

„ლგ“, № 7,
1980 წ.



# და გაისმოდა დების სიმღერა

### გივი გეგეჭკორი

მიუხედავად მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი მაჯისცემისა, ჩვენ რომ ასე შეუმჩნევლად და შეუბრალებლად ჩაგვითრია, მიუხედავად უეცრად დამუხრუჭებული მანქანების შემაძრწუნებელი ხმისა, ჩვენ რომ ასე უეცრად გვიკაწრავს გარინდებულ სულს, ყოველივე ამის მიუხედავად, დები იშხნელების სიმღერების საშუალებით თითქოს მუდამ შეგვიძლია აღმოვჩნდეთ მშვიდსა და რომანტიკულ სამყაროში, შეგვიძლია დავდგეთ იმ სანეტარო ფანჯარასთან, საიდანაც ისმის დების უბრალო და ნათელი სიმღერა.

ჯერ კიდევ გალაკტიონ ტაბიძემ გადმოგვცა ამგვარი განწყობილება ლექსში „ი. ა“: „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი, ნუკრის თვალებით, თმით მიმოზებით და მწუხარების მალენიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოსები. შეშლილი სახით კიოდა ქუჩა, შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა, მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა და გაისმოდა დების სიმღერა“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსში იდილიური სოფლის სურათით უფრო გამძაფრებულია შეუბრალებელი ქალაქის მტვერში წაქცეული ბავშვის სიბრალულით გამოწვეული ტკივილი.

ეს ლექსი მხოლოდ ამ წერილთან დაკავშირებით არ გამახსენებია და ეს ასოციაცია ახლა არ გამჩენია. ამ ლექსის წაკითხვაზე მუდამ დები იშხნელები დამდგომია თვალწინ, მიუხედავად იმისა, რომ ლექსში გეოგრაფიული გარემო გარკვეულია: მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა და მოისმოდა დების სიმღერა... სოფლად და არა ქუთაისში და არა არქიელის გორაზე და არა ცაცხვებში, სადაც იდგა ხის ორსართულიანი აივნიანი სახლი, რომელშიც ამ საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ იშხნელები...

ჩვენი ასოციაცია არც ისე შორეულია, როგორც ეს ერთის შეხედვით შეიძლება მოიჩვენოს კაცს. ქუჩაში მიმავალ გალაკტიონ ტაბიძეს მართლა შეეძლო მოესმინა იშხნელების სიმღერა. და თუ ქუჩაში ვერ გაიგონებდა, ქუთაისის რომელიმე, ან თვით იშხნელების ოჯახში უთუოდ დატკბებოდა მათი ხმით.

რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძის საღამოს ქუთაისში, ამ საღამოზე ნამდვილად უმღერიათ იშხნელებს („ციცინათელა“ და „ტურფავ, ტურფავ!“).

ახლა ათი და-ძმიდან მხოლოდ ერთი და არის ცოცხალი — თამარ იშხნელი, სწორედ ის, ვინც ამბობს იმ ძლიერ, იმ მდიდრულ და ამავე დროს იმ დრამატიულ ბანს, რომელიც ასე სულის შემძვრელია. ახლახან გამოსულ ფირფიტა-გიგანტზე, თუ ყურადღება მიგიქცევიათ, იგი იწყებს სიმღერებს „ყაყაჩო აყვავებულა“, „და ის ვინც გაქებდა“, „შევიშრობ ცრემლსა ჭირთმანელებელს“.

ამ რამდენიმე დღის წინ ორჯონიკიძის ქუჩის 92 ნომერში თამარ იშხნელი ვინახულე. დაკიდული კიბე ავიარე და დავაკაკუნე. კარი გამიღო. მერე ოთახში შემიძღვა და ელექტროქურასთან მიმიპატიჟა. ელექტროქურას მივუჯექით. წელგამართული იჯდა, სიამაყე შეენარჩუნებინა, მაგრამ ეტყობოდა, ყურს დაჰკლებოდა. ზოგჯერ კეთილი ღიმილით შემომხედავდა და ამ ღიმილით ამავე დროს თითქოს კითხვის გამეორებას მთხოვდა. კითხვას ვუმეორებდი და თან თითქოს ვხედავდი, როგორ აჰყავდა შალვა დადიანს თავის დებთან ერთად ჩაბნელებულ სცენაზე სააღდგომოდ შეკერილ ჩითის კაბაში გამოწყობილი მსხვილნაწნავიანი გოგონა...

ქუთაისში, არქიელის გორაზე, ხის ორსართულიან სახლში იშხნელები დედისაგან ისმენდნენ და სწავლობდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისურ და ქუთათურ ქალაქურ სიმღერებს, მუხამბაზებს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იტალიური ოპერის მეშვეობით გავრცელებულ სასიმღერო რემინისცენციებს და იტალიური სიმღერების გავლენით დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს, ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებული ქართული ხალხური გუნდის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს; როგორც ცნობილია, ამ გუნდს წარმოშობით ჩეხი კაცი — რატილი ლოტბარობდა.

იმ სიმღერებს, რომლებსაც დები იშხნელები ასრულებდნენ, ასაზრდოებდა ქართული პოეზია, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ქართული პოეზია. ამ სიმღერებმა შეინარჩუნეს გასული საუკუნის ჭეშმარიტი პოეზიის ჩაუქრობელი მშვენიერება. მათი სიმღერები ისევე გულწრფელია, ისევე ნაღვლიანია და ამავე დროს ისევე იმედიანია, როგორც მთელი მე-19 საუკუნის ქართული პოეზია. რომ იცოდეს მე-19 საუკუნის რომელიმე უჩინარმა პოეტმა, თუ როგორ უნდა უმადლოდეს მათ სიმღერას, რადგან იქნებ სწორედ მათი სიმღერის საშუალებით გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს!

დები იშხნელები ყველაზე უფრო მეტად მაინც აკაკი წერეთლის ლექსებს მღერიან და ეს იმდენად ცნობილია, რომ ხშირად აკაკის შეცდომით მიაწერენ იმ სიმღერის ტექსტსაც, მას რომ არ ეკუთვნის. ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ აკაკის მელოდია ხალხური ლექსის მელოდიას უახლოვდება პოეტური ფრაზის სილაღითა და ბუნებრიობით. მისი ლექსი თავისთავად სიმღერაა. როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, აკაკი თურმე ლექსის წერის დროს ხმადაბლა მღეროდა. დადიოდა ოთახში და ღიღინებდა. ჩაიღიღინებდა, შემდეგ ჩამოჯდებოდა, დაწერდა ცოტა რამეს და წაიკითხავდა, შემდეგ ისევ დაიწყებდა სიარულს და სიმღერას, შემდეგ ისევ ჩამოჯდებოდა და ცოტას დაწერდა. ამ მოგონებიდან ჩანს, რომ აკაკის ყველა თავისი ლექსი მანამდე ჰქონდა ნამღერი, სანამ ხალხში სიმღერად გავიდოდა და ამიტომ თავისთავად სიმღერის ტექსტს წარმოადგენდა.

მღეროდნენ დები იშხნელები აკაკის „სულიკოს“, „ციცინათელას“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდას“, „ნათელას სიმღერას“, „თავო ჩემოს“, „განთიადს“ და ამ სიმღერებით ქართველი ხალხი იხდიდა ქორწილს, იქარვებდა ნაღველს, ებრძოდა წუთისოფლის უკულმართობას და ამ სიმღერით ჩადიოდა საფლავში.

ალბათ გახსოვთ გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები: „აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებაა“.

მაშინ, როდესაც ბევრი სიმღერა უგზოუკვლოდ იკარგება სატელევიზიო არხებითა და რადიოპროგრამებით გადაცემული სიმღერების ნიაღვარში, რადგან ჩვენს სულში ფესვს ვერ იდგამს და ჩვენს გულს არ ეკარება, ეს გაუხუნარი მელოდიები კვლავ ცოცხლობს, რადგან აკვანთან დახრილი ძვირფასი ადამიანების სახეებთან ერთად შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში, შემოვიდა გიტარის გრიფზე გადაჭიმულ სიმებზე აკენკილი ბგერებით და ნაღვლიანი ხმით, რომელიც სულის ყოველ კუნჭულს ეფინება.

დები იშხნელების სიმღერის გაგონებაზე გული გვეკუმშება და დაახლოებით იმას ვგრძნობთ, რაც ვთქვათ, ძველი დანგრეული ტაძრის, აივნის ჩუქურთმიანი რიკულის ან „ივერიის“ გაყვითლებული ფურცლების დანახვაზე შეიძლება იგრძნოს ადამიანმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ჟამია შეჩერებული, ხოლო სიმღერა ცოცხალია, გარდასული დღეების სინათლით დღევანდელობაში თრთის.

როგორც მსუბუქი და ჰაეროვანი მცენარე ეხვევა სახლის კედლებსა და აივნის მოაჯირს, ისე ჩვენს სულში გზას იკვლევს და მოცოცავს უბრალო და ამავე დროს თავბრუდამხვევი მელოდია.

დები იშხნელების ახლახან გამოსულ ფირფიტა-გიგანტს ჩემდა სასიხარულოდ, ერთ მუსიკალურ მაღაზიაში წავაწყდი. ფირფიტა გამოუშვა საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ (5 ათასი ცალი), მალე ამავე რაოდენობით თბილისის გრამფირფიტების სტუდიამაც დაბეჭდა. მაგრამ ეს წვეთი აღმოჩნდა ზღვაში. ფირფიტა აღარ იშოვება. ფირფიტაზე 16 სიმღერაა: „მორბის არაგვი“ (ფირფიტის კონვერტზე მუსიკის ავტორი არ არის აღნიშნული. თუ ხალხურია, უნდა ეწეროს, რომ ხალხურია. სხვათაშორის, ამ სიმღერის აჩქარებული ნაწილი, რომელიც თითქოს არაგვის სრბოლას გადმოგვცემს, თურმე თბილისური ქალაქური მელოდიაა. ამ სიმღერის სიტყვები ყოფილა: „კურტან, ვაი, კურტან, ვაი, ჩემო კურტან, კურტანზე ვზივარ, კურტნით მივდივარ...“), „მხოლოდ შენ ერთს“ (მუსიკა ვისია, არ აწერია, თუმცა ცნობილია, რომ როცა რუსი დრამატურგის კარეევის პიესა „საბედისწერო ნაბიჯი“ დაიდგა ქუთაისში 1901 წელს, ამ პიესაში გამოყენებული სიმღერის ტექსტი შალვა დადიანმა თარგმნა, ხოლო ლექსს მელოდია ამ თეატრის მსახიობმა კოტე სარჯველაძემ შეურჩია), „გაზაფხული“ („გაზაფხული მოდის, მართობს, სიკეკლუცის ეშხით მათრობს...“ აღნიშნულია, ლექსი ა. წერეთლისაო. საეჭვოა, რომ აკაკისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, თხზულებათა არც ერთ კრებულში არ არის), „სალამს გიძღვნი, მშვენიერო“ (ამ ლექსის ავტორადაც აკაკია მითითებული, თუმცა ეს ლექსი ცნობილ პედაგოგსა და ლიტერატორს სილოვან ხუნდაძეს ეკუთვნის. იხ. „ჩანგური“, 1904 წ. გვ. 196), „ო, მარგარიტა“ (მე-19 საუკ. პოეტი გრ. აბაშიძე მხოლოდ ტექსტის ავტორად არის აღნიშნული, მაშინ, როცა მუსიკაც მისი შეწყობილია), „ყაყაჩო აყვავებულა“, „არც ხოს ამბობს, არც არას“ (უნდა ეწეროს, რომ მელოდია თვით იშხნელების შერჩეულია), „სულიკო“ (მუსიკის ავტორი არ არის აღნიშნული, თუმცა ყველამ იცის, რომ კილო ვარინკა წერეთელმა შეუწყო), „ლაჟვარდ ცაზე“ („ლაჟვარდ ცაზე მზემ შორს სხივი გასტყორცნა...“ ფირფიტის კონვერტზე აღნიშნულია, რომ ტექსტიცა და მუსიკაც ხალხურიაო. ჩეხური მელოდიაა, ტოვაჩევსკისა და აღნიაშვილის გუნდის ლოტბარის რატილის შერჩეულია, ხოლო სიტყვები საბავშვო პოეტს პარმენ ცხელს ეკუთვნის), „მრავალჟამიერი“, „და ის ვინც გაქებდა“ (მუსიკა საეჭვოა, რომ ხალხური იყოს, რადგან გრიშაშვილის ლექსი „დააჩქარე! დააჩქარე!“ არის გამოყენებული და მუსიკას ავტორი უსათუოდ ეყოლება), „შევიშრობ ცრემლსა ჭირთმანელებელს“, „უმწვილ ქალს“ (არც მუსიკის ავტორი არის მითითებული და არც ტექსტისა. ლექსი აკაკისაა — „ყველა სნეულებაზე სიყვარული ძნელია...“), „ციცინათელა“ (მუსიკა ხალხურიაო, ასე წერია კონვერტზე. ცნობილია, რომ მელოდია დავით ფალავამ შეუწყო, ცნობილმა ექიმმა, რომელსაც აკაკიზე მოგონებებიც აქვს დაწერილი), „ტურფავ, ტურფავ!“ (აღნიშნულია, რომ თითქოს ეს ლექსი ილია ჭავჭავაძისაა. სინამდვილეში ჰაინრიხ ჰაინეს ლექსია ციკლიდან „სამშობლოში დაბრუნება“. ამ ციკლის მეცხრე ლექსია და იოსებ ბაქრაძის თარგმანია) და ბოლოს, „აღარაფერი არ მაგონდება“ (აკაკის ლექსიაო, ასეა აღნიშნული. სინამდვილეში ეს ლექსი აკაკისა არ უნდა იყოს. ვ. აბაშიძის „ჩანგში“ 1904 წ. გვ. 264 — აკაკის ლექსებს შორის მოთავსებულ ამ ლექსს გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში გრიშაშვილისავე ხელით აწერია: „ეს ლექსი მიბაძვაა ერთი რუსული რომანსისა“).

ამ ფირფიტის გამოსვლას ყველა დიდი სიხარულით შეხვდა. ფირფიტის კონვერტზე აღნიშნული ხარვეზები ადვილი გასასწორებელია, რადგან ეს ფირფიტა კიდევ არაერთხელ გამოვა.

მეორე ფირფიტა-გიგანტისათვის უკვე შეგროვილია 9 სიმღერა: „ორთავ თვალის სინათლევ“, „ტურფავ, მოდი!“ „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო“, „საპოვნელა“, „შენ, შემოქმედო“, „სალამურო“, „ერთხელ ვიხილე“, „სანთელივით გავქრები“, „ისევ შენ და ისევ შენ“. მაგრამ ფირფიტა-გიგანტისათვის 9 სიმღერა არ კმარა. ყოველი ჩვენგანი უნდა დაეხმაროს ტელევიზიას, რომელმაც სთხოვა მსმენელებს ყველგან დაძებნონ ძველი მძიმე და მყიფე ებონიტის დისკები, რომლებიც ესოდენ ტკბილი გასახსენებელია ჩვენთვის ახლა, კასეტური მაგნიტოფონებისა და კვადრაფონური ფირსაკრავების ეპოქაში, რადგან ისინი გვახსენებენ ჩვენი გზის დასაწყისში შესისხლხორცებულ მელოდიებს.

ფირფიტა-გიგანტის კონვერტზე დაბეჭდილ სურათზე დები იშხნელები ფოტოგრაფის დარიგებით მხოლოდ ერთ მხარეს იმზირებიან, სახეზე ღიმილი დასთამაშებთ და სცენაზე გამოსასვლელი სამოსელი შვენით (ლეჩაქივით თხელი თავსაბურავი, თეთრი კრეპდეშინის კაბა, ყავისფერი ხავერდის სირმიანი მოსაცმელი და ყელზე შემოხვეული მსხვილი ნაწნავი). ამ სურათისაგან განსხვავებით მხატვარ თენგიზ მირზაშვილის ზეთით შესრულებულ სურათზე, რომელიც ამჟამად ქუთაისის სამხატვრო გალერეაშია გამოფენილი, დებს სადა, თალხი ფერის გულდახურული კაბები აცვიათ, სურათიც მუქი ლურჯი ფერისაა, უკან ქალაქის სილუეტიც ბუნდოვანია და მომღერლებსაც ნაღვლიანი სახეები აქვთ. ერთი სიტყვით, ეტყობა, მომღერლები ნაღვლიან მელოდიას ასრულებენ.

„ო, მარგარიტა, ჩემო ძვირფასო...“ — მღერიან დები იშხნელები (მარგარიტა და არა მარგალიტა, როგორც ეს ამ ლექსის ავტორს გრ. აბაშიძეს უწერია, მარგალიტას რომ ამბობდნენ, ეს მათ სიმღერას თითქოს გააუბრალოებდა და კეთილშობილებას დაუკარგავდა). „ო, მარგარიტა ჩემო ძვირფასო...“ — მღერიან დები იშხნელები და კაცს უნებურად ახსენდება თავისი განვლილი ცხოვრება, სინანული ეუფლება იმის გამო, რომ რაც იყო, ის აღარასოდეს განმეორდება, რომ ეს ყველაფერი, რასაც ახლა უყურებს, ხვალ აღარ იქნება და რომ ეს განცდა ექნება ყველას, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა და ამ სიმღერას გაიგონებს, ხოლო ეს სიმღერა იცოცხლებს მუდამ, იცოცხლებს მანამდე, სანამ ერთი ქართველი კაცი მაინც ივლის ამ ქვეყანაზე.

„შევიშრობ ცრემლსა ჭირთმანელებელს...“ მღერიან დები იშხნელები და თავბრუს გვახვევს ეს „ჭირთმანელებელი“, „სიტურფის ღმერთა“ (გაიხსენეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის „მშვენიერთა ხელმწიფა“). სიმღერა ჩვენი წარსულით სუნთქავს, სიმღერაში მჟღავნდება ჩვენი ეროვნული სული და სიმღერას ჩვენამდე მოაქვს გარდასული ეპოქის სურნელება, გამჟღავნებულია ნათელი კაეშანი. შესაშფოთებელი არაფერია, რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა, დრომ გაიარა და დაგვიტოვა მელანქოლია. ახლა მხოლოდ უნდა აგვაღელვოს, ტკივილი უნდა გვაგრძნობინოს. სიმღერა არ არის გულისამაჩუყებელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გულის აჩუყებას შესძლებს, არ არის მელანქოლიური, მიუხედავად იმისა, რომ შესძლებს და ნატიფ მელანქოლიას გვაგრძნობინებს. სათქმელი ისე ნათელია და ისე მკაფიოა, სიმღერა ისე ელეგანტურია და ისე დარბაისლურია, რომ ჩვენს სულს არ დაინდობს და ჩვენი გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მოგვაწვება ყელში გაჩხირული გორგალი...

„მრავალჟამიერ...“ მღერიან დები იშხნელები და ჩვენ ვგრძნობთ სიამაყეს იმის გამო, რომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც ეს სიმღერა დაიბადა. მშობლიურია ამ სიმღერის წმინდა და ნათელი ენა. მისი მიმოხვრა და ვარიაციები. სიმღერის მიღმა ჩვენ ვხედავთ მთელს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ოჯახს, ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს ეროვნულ კეთილშობილებას, სისპეტაკეს, შინაგან სიმდიდრეს, თხელ ფირფიტაში გამომწყვდეულ მშობლიურ სითბოს, სიმღერაში გამჟღავნებულ სიყვარულს — ტანჯვისა და სიხარულის მუდმივ წყაროს.

ამ სამიოდე წლის წინათ პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ ჟურნალ „ხელოვნებაში“ დაბეჭდა წერილი იშხნელებზე. ეს წერილი უკვე თავისთავად გამოსარჩლება იყო მივიწყებული მომღერლებისა. ძველი ფირფიტები აქა-იქა იყო შემორჩენილი, ხოლო ახალი ფირფიტების დაბეჭდვაზე არავინ ფიქრობდა. წერილის სათაური („იავნანამ რა ქნას!“) იმას ნიშნავდა, რომ დები იშხნელების სიმღერა იგივე იავნანა იყო და რომ ამ იავნანას დავიწყებული დედაშვილობა უნდა მოეგონებინა ჩვენთვის. წერილის ავტორი შეშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ახალგაზრდობა გაიტაცა მოდურმა უცხოურმა მუსიკამ და სუპერვარსკვლავებმა და რომ ჩვენს სიმღერას, მათ შორის, იშხნელების სიმღერასაც, ვაი, თუ საფრთხე ემუქრებაო...

ახლა, როცა მუსიკალურ მაღაზიებში იშხნელების ფირფიტებს ასე დაეძებენ, სავარაუდებელია, რომ ზღვის მოქცევის დამანგრეველ ძალას, ტრანზისტორისა და ელექტროგიტარის შემოტევას იშხნელების სიმღერები გაუძლებს. ახალგაზრდობა ყველგან და ყოველთვის არის ხოლმე გატაცებული მოდურით. ეს ბუნებრივია, რადგან ახალგაზრდაა და ახალს ეძებს.

ახალგაზრდობაში უფრო არის კაცი უცხო ხილის მოყვარული, ვიდრე შემდეგ, როცა ხანში შედის, როცა უფრო და უფრო იდგამს ფესვს ის, რაც მშობლიურია და როცა მიწა დაჟინებით ეძახის. მომხიბლავია ზანგური სპირიჩუელსი, მომხიბლავია გიტარაზე შესრულებული ანდალუზიური ფლამენკო, და მაინც ჩემთვის უფრო ძვირფასია ის, რაც ჩემია, რაც მშობლიურია და რაც ჩემს სულში აღვიძებს იმ მელოდიას, რომელიც ჩვენს სისხლში ჩვენს დაბადებამდე ხმაურობდა. ჩვენი მბრძანებელია ის ცოცხალი ტრადიცია, რომელიც ისტორიის წყვდიადიდან გვეხმაურება და რომელსაც უსიტყვოდ და უყოყმანოდ ვემორჩილებით.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს მელოდია ისე ესმოდეს ჩვენს შთამომავალს, როგორც ღარიბი, მაგრამ სულით მდიდარი ძიძის იავნანა ესმის, მდიდარ, მაგრამ სულით ღარიბ ბავშვს...

ნიკო ლორთქიფანიძე მოთხრობაში „მომღერალი“ აგვიწერს ერთ მიტოვებულ კარმიდამოს, ბალახით დაფარულ ეზოსა და წითელი სილით მოყრილ გზებს, გადაგვარებულ ვარდებს, ჩამომტვრეულ ტოტებს, ნაეზოვარის თავისებურ მშვენიერებას, სალებავჩამოშორებულ თუნუქის სახურავს, წვიმით დამპალ თავლია აივნებს...

როცა ბავშვი ოთახში შედის, იგი გრძნობს, რომ ამ სახლში უნდა ეცხოვრათ მის სულთან ახლოს მყოფ ადამიანებს. ბავშვს ხიბლავს ნაზი და რბილი სავარძლები, დიდრონი ლამპები და განსაკუთრებით დიდი როიალი... ბავშვი ყოველ დღე გადადის გალავანზე, არბის მაღალ ფართო კიბეზე, ფეხაკრეფით გაივლის აივანს, ფანჯრიდან გადადის ოთახში, ჯდება სავარძელზე და ოცნებობს... ერთ დღეს ბავშვი როიალს თავს ახდის და თეთრ კლავიშს ხელს შეახებს. ბავშვი სიამოვნებასთან ერთად შიშს იგრძნობს და ის სიფრთხილე, რომელიც მას ამ ნივთებისადმი ჰქონდა, მოწიწებად გადაექცევა...

დღემდე იშხნელებზე სათქმელი სიტყვა მე სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში აღწერილი სახლივით მიზიდავდა და ისე ვუახლოვდებოდი, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში ბავშვი უახლოვდება როიალს — სიფრთხილით და უფრო მეტად მოწიწების გრძნობით...

დღეს, როცა ჩემთვის ასე ძვირფასია გულუბრყვილო ლექსებზე გაბმული აბლაბუდები, რომელსაც ფრთხილად ეხება გაუხუნარი სიმღერის ფრთები, მეხსიერებაში უფრო ხშირად ცოცხლდება ბავშვობაში დანახული სახე მშობლისა, რომლის თვალებზეც დები იშხნელების სიმღერის გაგონებაზე ცრემლი ჯერ უპეში გროვდებოდა, ხოლო შემდეგ ნელა მიცოცავდა ქვევით...

მე მინდა ეს წერილი აკაკის სიტყვებით დავამთავრო: „ხმა დიდი ხნის სტუმარი არ არის საზოგადოდ, ის წავა, ვით ციაგი, კვალს დასტოვებს, მაგრამ ნაშრომი და ნაღვაწი საშვილიშვილოა...“

### ახალგაზრდა მწერლების საყურადღებოდ

სამშაბათს, 26 თებერვალს მასწავლებლის სახლში ([illegible] ქ. № 3) შედგება საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერლების გაერთიანების სხდომა. განხილული იქნება გასულ წელს გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 03431